ნაღდი ფასი 10 კაპ. ფასი 10 კაპ. ხუთშაბათი, 1917 წ. მკათათვის 20 (2)

საქართველო

ხელის მოწერა და ფასიბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციისა და კანტორაში ყოველდღე კვირა-იმშაბათის გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ უბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, почт. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
წვეულებრივი, სტრიქონი, პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე 20 კ. ტექსტის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 10 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი. მხოლოდ ქალაქში. ქალაქ გარეთ გაზეთი ეროი თვით არ გაიგზავნება.

№ 157 ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთი № 157

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

ირაკლი წერეთელმა საშინაო საქმეთა სამინისტრო ჩაიბარა და მოწოდებით მიმართა კომისარებს ქალაქისა და სოფლის ინარქიის მოსპობისათვის.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ჯარის-კაცთა მიტინგები აღკრძალულია.

რუსის ჯარი მდინარე პრუტისაკენ იხევს.

პეტროგრადში შეიპყრეს ყოფილ დედოფალის ექიმი ბადმაევი. მას მონარქიის აღდგენის მზადებას აბრალებენ.

მოსკოვის თათბირი 23 მკათათვეს შესდგება.

წერილები

მეთაური. სამხედრო ყრილობის გამო.
გ—ლი. ბედი საქართველოსი.

ბ. გამსახურდია. ქართველთა ერთობისათვის.
გარრიძე. შოვინიზმი თუ პატრიოტიზმი.
ვ. დუშელი. პატარა ფელეტონი.

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიათა დებულება. (გაგრძელება).

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის ნომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეპტემბრის დამლევამდი.
რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა დიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.
რედაქტორი **დ. კვირკელია.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა **ახალ ბინაზე,** ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ საადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გარდასახადის და შეწირულობის შემოსატანად.
10—755—10

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, მკათათვის 20-ს, საღამოს 7 საათზე, მესამე მოძრიგებელ მოსამართლის შენობაში (ტურგენევის ქუჩა № 5)

დანიშნულია

პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა

საერთო კრება

განსახილველი საკითხები:
1) თბილისის საქალაქო არჩევნები,
2) საპროგრამო საკითხები და სხვ.
2—767—3

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მოძრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან **ვ. უფიანთან.**
751

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.
10—742—10

ექიმი
ბ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და ზრდასრულ სნეულებს ავადმყოფებს ბუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბულინსკის ქ. № 4. (ი—202—)

ექიმი
ე. ლ. ფალამბერიძე
იღებს ბავშვთა და საშვილოსნოს ავადმყოფთა საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ქართველნო მოქალაქენო!

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო სიას!

№ 2.

საქართველოს ეროვნულ-დემ. პარტიის თბილისის ქალაქის ხმოსანთა კანდიდატების სია.

1. **ფურული** გიორგი დურმიშხანისძე—ქალაქის ხმოსანი. ქალაქის საბჭოს წევრი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი.
3. **კედია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი.
4. **ქიქოძე** გერონტი დიმიტრის ძე—პუბლიცისტი.
5. **ვეფაპიძე (ვეფაველი)** გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი.
6. **მაჭავარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
7. **ლორთქიფანიძე** იასონ მერაბის ძე—ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.
8. **გოთუა** პართენ ალექსანდრეს ძე—სამეურნეო ბანკის დირექტორი.
9. **ვაჩნაძე** დავით ვლადიმერის ძე—ჟურნალისტი, კოოპერატორი.
10. **ივანიცკი** რაფაელი ალექსანდრეს ძე—**(რ. ინგილო)** სამართლის კანდიდატი.
11. **გერელაშვილი** ვასილ გერასიმეს ძე—კომერსანტი.
12. **ასათიანი** ალექსანდრე სამსონის ძე—ჟურნალისტი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
13. **წვერავა** ნიკოლოზ ესტატეს ძე—ხმოსანი ქ. თბილისის.
14. **ქურდიანი** გიორგი ზაქარიას ძე—ინჟინერი.
15. **თაყაიშვილი** ექვთიმე სიმონის ძე—ისტორიკოსი, თავმჯდომარე საქ. საეთნოგრაფიო საისტორიო საზოგადოებისა.
16. **ელიაშვილი** ივანე სპირიდონის ძე—ექიმი.
17. **მამრაძე** პეტრე გრიგოლის ძე—ინჟინერ-ტექნოლოგი.
18. **ჯავახიშვილი** დიმიტრი ვასილის ძე—ექიმი.
19. **გაბაშვილი** ლეონიდე ალექსანდრეს ძე—კოოპერატორი, ჟურნალისტი.
20. **თუმანიშვილი** პაღლე იოსების ძე—ნაფიცი ვექილი.
21. **მაჭავარიანი** გიორგი ლუარსაბის ძე—ნოტარიუსი.
22. **ერისთავი** დომინიკა ზურაბის ასული—**(განდეგილი)**—მწერალი.
23. **ჩიჯავაძე** თამარა დავითის ასული—მასწავლებელი.
24. **დუმბაძე** დიმიტრი მოსეს ძე—პედაგოგი.
25. **გუნცაძე** ირაკლი ალექსანდრეს ძე—ნაფიცი ვექილი.
26. **ქვარიანი** სიმონ ალექსის ძე—აგრონომი.
27. **ლაღიძე** მიტროფანე ერმოლაის ძე—მრეწველი.
28. **გაბუნია** ილოვან გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
29. **ქახიძე** ვასილი ბესარიონის ძე—ხარჯთა კრების ინსპექტორი.
30. **გველესიანი** იოსებ იოსების ძე—კომერსანტი.
31. **მერკვილაძე** იოსებ ნიკოს ძე—„თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოების თავმჯდომარე“.
32. **თიქანაძე** ივანე ელიშუხის ძე—ექიმი.
33. **მალალაშვილი** ივანე გრიგოლის ძე—ნაფიცი ვექილი.
34. **ვაჩნაძე** ლევან ალექსანდრეს ძე—ხმოსანი (ქალაქის)
35. **მერკვილაძე** ნოშრევან ნიკოლოზის ძე—ხელოსანი.
36. **ბერძნიშვილი** ივანე სიმონის ძე—ხელოსანი.
37. **ივანიცკი** ვახტანგ აპოლონის ძე—მთის ინჟინერი.
38. **ხახუტაშვილი** ნიკოლოზ ანტონის ძე—ვაჭარი.
39. **გარაყანიძე** ვასილი ავთანდილის ძე—ბუღგალტერი.
40. **ჭუტნია** სეონ შერვანდინის ძე—კომერსანტი.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებისა
ავადმყოფთ სადამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლდას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
ბ. ბ. მესაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთა
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიციერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსტაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ დინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. დ. ნინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველ-დღე გარდა ბუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ბავშვთა ავადმყოფობისა
მოსე ასთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმაღლესი განათლება ოსტ. კალანდარიშვილისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

თბილისი, მკათათვის 20.

ქართული სამხედრო ყრილობა

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება ფრიად საგულისხმო წერილი მე-28 კორპუსის ქართველ სამხედრო პირთა აღმასრულებელ კომიტეტისა.

წერილში აწერილია თავგადასავალი იმ დელეგაციისა, რომელიც ზემოხსენებულ კომიტეტს გაუგზავნია პეტროგრადში, რომ სრულიად საქართველოს სამხედრო პირთა ყრილობის ნებართვა აღლოთ.

მე-28-ვე კორპუსის ქართველობას ადგილობრივ საჭიროდ უცვნია და დაუდგენია ქართველ მხედართა ყრილობის მოწვევა და ამისათვის სათანადო დელეგაციაც გაუგზავნიათ პეტროგრადში სამხედრო მინისტრ ა. კერენსკისთან მოსალაპარაკებლად; მხოლოდ საკითხის წინდაწინ მოსაგვარებლად დგლეგაციისთვის დაუვალებიათ რჩევა ნ. ჩხეიძისა და ი. წერეთლისთვის ეკითხათ.

ამ უკანასკნელთ დელეგაცია გულითად მიუღიათ, გამოუკითხავთ საქმის ვითარება—და მოსალაპარაკებლათ მიუწვევიათ, მაშინ იქ მყოფი გეგეჭკორი.

ყრილობის მოწვევის საკითხს მწვავე დავა გამოუწვევია. ბ. გეგეჭკორი მეტის მეტად უარყოფითად შეხვედრია დელეგაციას და დამუქრებია კიდეც, როგორც არ უნდა გადაწყდეს საკითხი, მე ნებას არ მიცემ ქართველ მხედრობის დელეგატებს თბილისში შეიკრიბონო.

კორპუსის ყრილობას მსჯელობა ქონია ამ ინციდენტზე და დაუდგენია ქართულ პრესას ეცნობოს ეს ამბავი.

ამ ინციდენტის უკომენტარიოთ გადმოცემა. შეუძლებელია.

ჩვენთვის აშკარაა, რომ რუსეთის რევოლიუციამ პირდაპირ დააყენა ეროვნული საკითხი.

როგორც რევოლიუციუციის ერთმა მთავარმა შემქნელმა ძალამ, ჯარმა იგრძნო მთელი სიმწვავე ეროვნული საკითხისა და სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა წამოაყენეს თავიანთი მოთხოვნილებანი.

ეს მოვლენა ისევე სტიქიურია, როგორც სტიქიური იყო რევოლუცია; ეს ბუნების სიღრმიდან არის ამოზრდილი და შეუძლებელია ამას ანგარიში არ გაეწიოს.

ამგვარივე გრძნობა ამოქმედებს ქართველ ჯარს, რომელიც შესაძლებელია ყველაზე უფრო იტანჯებოდა მთავრობის უსამართლობით და რომლის ეროვნული თავმოყვარეობა ყოველთვის უსინდისოთ იყო შელახული და არავინ უფასებდა კეთილშობილ თავდადებას და გმირობას.

არაფერია გასაკვირი იმაში, რომ პირველმა ქართველმა ჯარმა იგრძნო საქართველოს გამრთელების საჭიროება.

ჯარი ინსტიქტიურად აჩენს ს ხელმწიფოებრივ შეგნებას, ამიტომ უფრო ძვირფასია მისი ეროვნულად დარაზმვა.

დღის წესრიგი, რომელიც გამოუმუშავებია 28 კორპუსის ყრილობას, ნათლად ხდის ქართველ სამხედრო პირთა დელეგატების ყრილობის აუცილებლობას.

თავი რომ დავანებოთ, ისეთ სხვის შემაშინებელ, მაგრამ სრულიად სამართლიან მოთხოვნას ჯარის ეროვნულ შერჩევით შედგენისას, მაინც ბევრი საკითხებია, რომელთა გვერდის ახვევა შეუძლებელია— ამ საკითხებში გარდა საერთო კულტურულ განმანათლებელ მიზნებისა ერთი მთავართაგანია რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნები ჯარში, ისე, რომ ეროვნული ხმები არ დაიკარგოს.

ეს საკითხი ძნელი გადასაწყვეტია ცირკულიარით, რომელ მთავრობისგანაც არ უნოა გამოდიოდეს ის და მოითხოვს დაკვირვებით შესწავლას და ყოველ მხრივ გაშუქებას.

ჩვენ ეჭვი არ გვებადება, რომ მე-28 კორპუსის მაგალითს მიბაძავენ სხვა კორპუსებში და არმიებში მყოფი ჯარის კაცები და მაშინ შეუძლებელია ამ საკითხის უყურადღებოთ დატოვება.

ეს ესმოდა ალბად ბ.ბ. ი. წერეთელს და ნ. ჩხეიძეს, რომელთაც გულითად მოპყრობას ასე აღნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი, დელეგაციასაც გამოუჩენია ამ პირებისადმი ლოიალობა და პატივისცემა.

ამნაირი განწყობილება ბუნებრივია და სასურველი ეროვნულად დაწყობილ ჯარის და რევოლუციის ხელმძღვანელთა, მხოლოდ აქ დისონანსი და უთანხმოება შეუტანია ბ. ევ. გეგეჭკორის გაუმართლებელ „ვეტოს“. დროა ქართულ ადგილობრივ ვიწრო პარტიულ ეგოიანობის დავიწყებისა და საქართველოს ეროვნულ შეკნებამდე ამაღლების.

საერთო დეზორგანიზაცია ჯრშიაში, ფრონტის გაძლვევა გერმანელებისაგან სულაც არ ანელებს ამ საკითხის სიმწვავეს, ქართველ ხელმძღვანელთა რომ ადუძრავთ პეტროგრადში, ის გაფართოვდება და გაიზრდება—მაშინ ჩხეიძე და წერეთელიც უფრო ახლო დაინტერესდებიან ამ საქმით და ბ-ნი ევ. გეგეჭკორიც დაიგიწყებს თავის „ვეტოს“.

გედი საქართველოსი

მეოთხე წელიწადია, რაც საქართველოს რუსეთის საბჭოდისწერო ცხოვრებაში, შინ თუ გარეთ, ბრძოლის ველზე, თუ ზურგთ უკან, პირველი ადგილი უკავია. მეოთხე წელიწადია, რაც ქართველი ერი განსაკუთრებულის თავგამეტებით უსიტყვოთ იხდის ხარკს თავის მოკავშირე რუსეთისას, ხარკს არა მხოლოდ ჭირნახულითა და ფულით, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა და ხდება ხოლმე, არამედ ხარკს უძვირფასესს, უმშვენიერესს და მასთან აუნაზღაურებელს, უკუ უქცევს.

რაინდმა ერმა დაივიწყა ის შეურაცხყოფა, უნდობლობა და მიწასთან გასწორება, რასაც იგი ერთ საუკუნეზე მეტს განიცდიდა რუსეთის მბრძანებელთაგან; დაივიწყა შეგინება ენისა, დაივიწყა შებღალვა თავის წმიდათა წმიდისა, შებილწვა ზნე-ჩვეულებათა და განსაცდელის დროს თავისებურის სიწრფელით გაუწოდა ხელი ცბიერ მოკავშირეს, ფლირსს ძმად ნაფიცს. პატარამ, მაგრამ სულით ახოვანმა ერმა საკუთარის ხელით გაიფატრა მკერდი. ამოიღო პატიოსანი გული და დაუნანებლად გადასცა რუსეთის მეფეს—ეს იყო სიცოცხლე იმ რამდენიმე ასი ათას ახალგაზრდათა, რომელთაც სიკვდილს ულმობელი ცელი ბრძოლის ველზე სცელავდ და სცელავს.

ჩვენ არ ვამბობთ იმაზე, ვის უნდა დაედოს ბრალი ამ მსოფლიო კოცონის ანთებისა—რუსეთს, თუ გერმანიას. ცოტაოდენად დაკვირვებულ ადამიანს ბევრი ლარი და ხაზი არ სჭირია ამის გამოსაცნობათ—ბრალდებულია ორივე იმდენად, რამდენადაც ბრალდებულია ყოველი მთავრობა, რომელსაც სვავის მადა ეშლება ხოლმე თავის სამშობლოს გაზრდისა და გაფართოებისათვის... ყველა ჩვენგანმა იცის, რომ სახელმწიფოებრივობა, სულ ერთია—მონარქიულია იგი, კონსტიტუციონალური თუ რესპუბლიკანური—უპირველეს ყოვლისა თხოულობს ერთს—მთლიანობას თავის სამფლობელოსას,—ეს აუცილებელი პირობაა იმის არსებობისა. მაგრამ როდესაც ეს მთლიანობა სხვის დაქუცმაცებასა და დაკნინებაზე ემყარება, ასეთი მთლიანობა ბუნებრივის წესით მიიყვანს სახელმწიფოს იმ სავალალო შედეგამდე, რასაც დღეს დედა ბოძგამოცლილი რუსეთი განიცდის.

რუსის ხალხი ველარ უძლებს შიმშილს. სიტიტვლეს, ველარ იტანს საკუთარ კერის ჩაქრობას, იგი დრტვინავს, აქეთ-აქით აწყდება და ერთს გაძახის: პური და თავისუფლებაო.

ეს არის რუსის ხალხის ხმა, ვფიქრობთ, დღეს-დღეობით არა მთლად რაინდული, მაგრამ ხმა თოკიდან აწყვეტილ მონისა და, მაშასადამე—მით უფრო სასტიკი, ულმობელი, საშიში...

არას ვამბობთ რუსეთის ქვეშევრდომ სხვა ერებზე. გაკვრით მოვიხსენიებთ მხოლოდ პოლონეთს. იგი მუუკმაყოფილო იყო ძველის რუსეთის პოლიტიკით, და უმთავრესად სწორედ ამ უკმაყოფილებამ გამოიწვია სულიერი და ნივთიერი ზრდა პოლონეთის ერისა, იმის კულტურულ ძალთა დაგროვებისა. იგი არც ჰფარავდა ამ თავის უკმაყოფილების—მეტს ვიტყვით—სიძულვილს რუსეთის მთავრობასა მიმართ.

არც ფინლიანდიაზე გავაგრძელებთ სიტყვას, რადგან კარგათ გვახსოვს როგორის ძალით შეიმოსა ფინლიანდია რუსეთის მონობის წლის თავზე... გვახსოვს ისიც როგორის ზეიმით იდღესასწაულა ჩვენმა ბრწყინვალე წოდებამ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის თავზე... ფინლიანდიის საუკეთესო შვილებმა ბევრი მწვავე მათრახები იგემეს რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთაგან, ჩვენ კი მადლობაც მივიღეთ უქვეშევრდომლეს გრძნობათა გამოცხადებისათვის, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერი კმაყოფილი იყო თვის მოკავშირე რუსეთისა იმ დროს, როცა მისი პირისფალნი, მისი საუკეთესო შვილები ციხის ზღუდეთა შორის, ან შორეულ ციმბირში ჰლევდნენ სულს?..

არა, საქართველო არ იყო მადლიერი რუსთა მეფისა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, იგი იტანჯებოდა, მაგრამ სდუმდა...

ასე იყო მეფობის დროს!

დღეს:

დღეს ხმა აიმაღლა უკრაინამ, ხმა აიმაღლა ფინლიანდიამ, რომელსაც ერთი წვეთი სისხლიც კი არ დაუღვრია რუსეთის სახელის დაცვისათვის, და რუსის ერისაგან მოითხოვენ დამოუკიდებლობის მინიჭებას.

რა პასუხი მიიღო ან ერთმა და ან მეორემ, ეს კარგათ ვიცით...

ჩვეულებრივად სდუმს მხოლოდ საქართველო! მან ეზოპის ენით მიაწვდინა რუსეთის დროებითი მთავრობის ყურს ავტონომიის საჭიროება, მტკიცე სიტყვა კი ვერ შეეხედა. რუსეთის დროებითმა მთავრობამაც მოხერხებულად შეასრულა მურვან ყურუს როლი—ყური მოიყრუა ჩვენს სუსტად გამოთქმულ სურვილზე, საერთო ნახირში გაჭრია ნება-ყოფლობით შეერთებული საქართველო და დაივიწყა, რომ არსებობს საერთაშორისო უფლება და, მაშასადამე საერთაშორისო სამართალიც.

დღეს ქართველმა ერმა გადაჭრით უნდა მოითხოვოს რუსის ხალხისაგან ერთი—ან მტკიცედ დაიცვას 1783 წ. ხელშეკრულება, ან სულ გაანქმოს იგი.

ქართველმა ერმა ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში საკმაო სისხლი ჰღვარა რუსეთის სახელ-დიდებისათვის, მიუხედავად ყოველმხრივის დევნისა და დამცირებისა, არასოდეს არ ულალატნია თავის მოკავშირისათვის და ჩვენც ნება გვაქვს ხმა აღვიმაღლოთ და მოვთხოვოთ ახალ რუსეთს ღირსეულად ჩაბარეოს ქართველ ერს მისთა შვილთა სისხლით დაწერილი ხარტია საქართველოს უფლებათა აღდგენისა.

გ.—ლი.

ომიდა ზავი

დეპეშები

სამხედრო ბრძანება.

პეტროგრადი. მკათათვის 17. ბრძანება სამხრეთ-დასავლეთის ბრძოლის ასპარეზისათვის: სერიოზულ წუთების გამო, რასაც განიცდის ჩვენი ბრძოლის ასპარეზი და საითაც უნდა იყოს მიმართული ჩვენი გულის-ყური—და სამშობლოს ხსნისთვის ვბრძანებ: 1) ყოველგვარი ყრილობა ბრძოლის ველზე აღიკრძალოს, ჩაითვალოს უკანონოდ და გაიფანტოს იარაღის შემწეობით. 2) აღნიშნული ბრძანება ჩაითვალოს სამხედრო ბრძანებათ, რომელიც აღარავითარ მსჯელობას არ საჭიროებს თვით კომიტეტებისგანაც კი.

საფრანგეთის ბანკის ცნობა

პარიზი. მკათათვის 16. ოფიციალი. წუხელ გერმანელებმა იურტებიზის დასავლეთით გაცხარებული იერიში მოიტანეს. მიუხედავად იმისა რომ შეტაკება ფრონტის 60 მეტრზე სწარმოებდა—მტერი მოვიგერიეთ. გათენებისას იურტებიზისა და ლაბოველლის სამხრეთით მდებარე ადგილებს შორის ჩვენ მტერს თავს დაეესხით და წინაც წაგიწიეთ, განსაკუთრებით კი მონუმენტის რაიონში. შამპანში ტაგიურის მხარეს მტერთან ხელჩართული ბრძოლა მოგვიხდა. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა მაასის მარცხენა მხარეზე გერმანელები ავაკურის ტყესა და „304“ სიმაღლის შუა ჩვენ მიერ დაპერილ თხრილებზე იერიშის მოტანას შეეცადნენ, მაგრამ ჩვენ მტერი ცეცხლში გავატვიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ მაასის მარჯვენა მხარეზე, მულენვილიას დასავლეთით მტერს ხელჩართულ ბრძოლით შევებით. გამარჯვება მათ დარჩათ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარე იყო.

პარიზი. მკათათვის 16. საღამოს ოფიციალი. დღეს სერნი-კრაონის რაიონში მთელი დღე საარტილერიო სროლა იყო. დღის 3 საათზე გერმანელებმა მეტად ცხარე სროლის შემდეგ იერიში მოიტანეს იურტებიზაზე, მაგრამ მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა მხარეზე გაცხარებული საარტილერიო სროლაა. ბრძოლა განსაკუთრებით „304“ სიმაღლის რაიონში ცხარდება.

ინგლისის ნაღმოსანის დაღუპვა.

ლონდონი. მკათათვის 17. საადმირალო იტყობინება, რომ წყალქვეშა ჩასძირა ჩვენი ნაღმოსანი „არიანდა“. დაიღუპა 38 მეზღვაური. დანარჩენი გადაარჩინეს.

იაპონური პრესა რუსის ჯარის მდგომარეობაზე.

ტოკიო. მკათათვის 14. (დაგვიანებულია) პრესა არკვევს რუსის ფრონტის მდგომარეობას და იმედოვნებს რუსის ჯარის ძლიერებაში და გამოსთქვამს სურვილს, რომ გაგზავნილ იქმნას რუსეთში საგანგებო საელჩო, რადგანაც ის საქმე, რომელსაც რუსეთი დღეს ეწევა ერთობ რთულია და საყურადღებო.

ეზვიპეტის ასპარეზი.

ლონდონი. მკათათვის 13 მდგომარეობა ეგვიპეტში უცვლელია. ჩვენი არტილერია მტერს ძლიერ აზიანებს. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა მტერზე რამოდენიმეჯელ გაიმარჯვა. ბრძოლაში მოკლული იქნა ოსმალეთის ოფიცერი. მკათათვის 14 იერიში მივიტანეთ მტრის სანგრებზე. ჩვენი დანაკლისი ერთით განიზომება.

ახლო აღმოსავლეთი.

პარიზი. მკათათვის 16. **მფრინველთა მოქმედება.** ოფიციალი. მაიდაგის რაიონში ბრიტანელთა ჰაეროპლანები მტრის ბანაკს ყუმბარებს უშენდნენ.

პარიზი. მკათათვის 16. სერბეთის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა და პატრულებს შეტაკებაა.

ჰავრი. მკათათვის 16. ბელგეთის ოფიციალი. წუხელ გერმანელების არტილერია ჩვენ გზებსა და სოფლებს ყუმბარებს უშენდა. დილამ სიწყნარით ჩაიარა. შუადღისას არტილერიამ კვლავ განაცხოველა მოქმედება. ყუმბარას უშენდნენ აგრეთვე ფრიუუნს, პერევიზსა და გალიკანის ხიდს. ჩვენ მტრის ბატარეიას აუტეხეთ სროლა და ზარალიც მივაყენეთ.

რუსის მუშები გერმანელ ტყვეებს ესარჩლებიან.

პეტროგრადი. მკათათვის 17. სამხედრო ოლქების უფროსებმა მთავარ შტაბის გენერალ რომანოვსკისგან დეპეშა მიიღეს. დეპეშა ციმბირში სხვა და სხვა ფაბრიკა ქარხნების მუშათა კატეგორიულ მოთხოვნილებებს იტყობინება. მუშებს მოუთხოვნიათ, რომ მტრის ტყვეებსაც იმდენი ხელფასი აძლიეთ სამუშაოში, როგორც ჩვენებსო. გენერალი რომანოვსკი მოითხოვს, რომ ადგილობრივ დეპუტატთა საშუალებით ამ მოთხოვნილებათა უსამართლობა ჩაგონეთო. იმ შემთხვევაში, თუ მართლა გერმანეთისა და ავსტრიის ტყვეებს ისეთივე ხელფასი დაენიშნათ, როგორც ჩვენს მუშებს, ომის შემდეგ მტერი 2 მილიონ ჯანსაღ მოქალაქის გარდა მილიარდზე მეტ ფულსაც მიიღებს ჩვენგან, მაშინ როდესაც გერმანეთი და ავსტრია მუშაობითა და სიმშილით არაქათ გამოლეულ ტყვეებს დაგვიბრუნებსო. სამხედრო სამინისტრომ საკითხი აღძრა, რომ ტყვე მომუშავეებს ხელფასიდან დღიურ ხარჯად მხოლოდ 50 კ. მიეცეთ და დანარჩენი ხაზინის სასარგებლოთ გამოურიცხონ. სამინისტროს აზრით ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მრეწველებმა ჩვენი მუშების შრომას არ ამჯობინონ ტყვეების მუშაობა, თუ ვინიცობაა ამ უკანასკნელთათვის მარტო ათი შაური დაურჩათ გადასახდელი.

მუშა-მოხალისეთა ბატალიონი.

პეტროგრადი. მკათათვის 17. ობუხოვის ქარხნის მომუშავეებმა მოხალისეთა ბატალიონის შედგენა განიზრახეს. ამის გამო რევოლუციონურ ლაშქრის მოხალისეთა მიწყობ ცენტრალ კომიტეტს მიმართეს. კომიტეტი სიხარულით შეეგება მათ სურვილს. ბატალიონს ყოველ მხრივს დახმარებას აღმოუჩენენ.

რევოლუცია

კრონშტადტის ახალი კომენდანტი.

კრონშტადტი. მკათათვის 17. კრონშტადტის ციხის ახლად დანიშნული კომენდანტი, 1-ლ რანგის კაპიტანი ტირკოვი—მკათათვის 142 გაემგზავრა კრონშტადტში საზღვაო მინისტრის გემ „ნევა“-თი. კომენდანტი ავიდა გემზედ შუა ნავთ-სადგურში, სადაც იდგნენ სამხედრო გემები ანდრიას დროშებით. კომენდანტი გამოვიდა ნაპირზედ და შტაბის ციხის შესავალთან შეეგებნენ მუსიკით და საპატიო ყარაულით. შემდეგ მან დაათვალიერა ქალაქი და მისი მდებარეობა.

ხალხის თავისუფლების პარტიის კონფერენციის დახურვა

პეტროგრადი. მკათათვის 16. დაიხურა საოლქო კონფერენცია ხალხის თავისუფლების პარტიისა. ბოლო სიტყვაში მილიუკოვმა მოხსენება წაიკითხა დღევანდელ პოლიტიკურ მოძღვნტზე, დაწვრილებით შეჩერდა იმ მოტივზე თუ რატომ გავიდენ სახალხო ფუძნებელ კრების საარჩევნო წესდებების პროექტის შესამუშავებლათ განაპირა ქვეყნებისათვის, მიღებულ იქმნა საარჩევნო ნორმა, რომლის მიხედვითაც არხანგელსკის, ოლონეცის, სამხრეთ-კავკასიის, ამიერ-კავკასიის, კამიშის ველი, ყირგიზის ორდებში, სტეპის მხარეში („სტეპნო კრაი“) და თურქესტანის ოლქებში და გუბერნიებში საოლქო საარჩევნო კომისიებს ეძლევათ უფლება კენჭის ყრით არჩევნებისა. მაჰმადიანთა ქვეყნებში დანიშნულ უნდა იქმნას საგანგებო დღეები, ქალაქებისთვის. სანაპირო ადგილებში საოლქო კომისიებს ეძლევათ უფლება ხმის მიცემის დროის გაგრძელებისა საუბნო კომისიებში 7 დღით. საარჩევნო საქმეების წარმოება საოლქო კომისიებში რუსულად უნდა სწარმოებდეს. საუბნო კომისიებში შეიძლება ადგილობრივი ენების ხმარება. საარჩევნო სიები უნდა შესდგეს რუსულ ენაზე ადგილობრივი ენაზე თარგმნით. იმ ადგილებში, სადაც არჩევნები მოხდება მაჯორიტარის სისტემით, ამომრჩევლებს შეუძლიათ შეადგინონ სიები ხელ და სხვა ნიშნების აღნიშვნით.

სარევოლუციო დიქტატურა

რუსეთი და მოკავშირენი.

პარიზი. მკათათვის 17. გუშინ დღით შესდგა სხდომა მუდმივი ადმინისტრატიული კომისიის საფრანგეთის სოციალისტურ პარტიისა, თუ როგორ მიიღონ ინგლისის და რუსეთის დელეგატები.

მორჩილების გამოცხადება.

პეტროგრადი. მკათათვის 17. მუშათა და ჯარის კაცთა აღმ. კომიტეტების დელეგატები, ბუნაკოვი, სოკოლოვი და ფილიპოვი დეპეშით იტყობინებიან, რომ გემების ეკიპაჟებმა ქ. ანბოს ახლოს მყოფებმა პირველად საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანეს მაგრამ 14 ივლისის საყოველთაო სხდომაზე გამოტანილ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც სრულ ნდობას უცხადებენ დროებით მთავრობას.

პეტროგრადი. მკათათვის 18. სამხედრო-საზღვაო მინისტრი პეტროგრადში დაბრუნდა.

ბუხარის რეზიდენტის გადადგომა.

პეტროგრადი. მკათათვის 17. რუსეთის რეზიდენტი ბუხარაში ალექსანდრე მილერი ავათმყოფობის გამო სამსახურიდან დათხოვნილ იქნა.

აღმასრულ. კომიტეტთა შეერთებულ სხდომის დადგენილებანი

პეტროგრადი. მკათათვის 12. ამტკიცებს რა დროებით მთავრობის რეზოლუციას და დროებით მთავრობის რევოლუციის მხსნელ მთავრობად გამოცხადებას, მის რწმუნებულებით აღჭურვას, ცენტრალ აღ. კ. მ. და ჯარისკაცთა დეპ. და გლ. დეპ. საბჭოს შეერთებული სხდომა ადგენს: 1) ქვეყანა და რევოლუცია იმყოფება დიდს საფრთხეში, როგორც სამხედრო განადგურების მუქარის შიშით, ისე ანარქიულ აფეთქებით და კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლებით. 2) საფრთხე, რომელიც დაღუპვით ემუქრება ქვეყანას და რევოლუციას, ღრმავდება მეურნეობის დაცემით და სასურსათო-საფინანსო კრიზისის უკიდურეს გამწვავებით. 3) ამნაირ პირობებში ქვეყნის და რევოლუციის ხსნის ერთადერთ საშუალებად ვაღვიარეთ, ძლიერ რევოლუციონურ ძალის შექმნას, რომელიც აღჭურვილ იქმნება სათანადო ავტორიტეტით და ფართე რწმუნებულებით, რაიცა ფრიად საჭიროა ცხოვრებაში დემოკრატიულ და სოციალისტურ რეფორმათა გასატარებლად და რომელიც გამოქვეყნებულია მთავრობის უკანასკნელ დეკლარაციაში ლაშქრის და ფლოტის აღსაფრთოვანებლად, სამეურნეო კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, ანარქიის და კონტრ-რევოლუციის აღმოსაფხვრელად.

ამ მიზნის განხორციელებისთვის დროებითი მთავრობა უნდა დაეყრდნოს ქვეყნის ყველა ცოცხალ ძალებს და იხმაროს ყოველი ძალ-ღონე, რათა მასთან ერთად სამოქმედოდ მოწვეულ იქმნას ბურჟუაზიის ყველა ჯგუფები. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ბრძანებით გვიკარნახებს ყველა მომავლის მქონეს (?) კლასებს რევოლიუციის დაცვას და გამაგრებას. 5) პასსიური წინააღმდეგობა, რომელსაც იჩენენ ბურჟუაზიის ზოგიერთი წრეები დრ. მთავრობის სარევოლიუციო მოქმედების წინააღმდეგ,—მთავრობის მოიკოტი—უსაჭიროეს პოლიტიკურ, აგრარულ, ფინანსიურ და ეკონომიურ ზომების გატარების შეჩერება, და დამფუძნებელ კრების გადადება სხვა არას ნიშნავს, როგორც იმას, რომ მას სურს ძალის ხელში ჩაგდება ქვეყნის ძირძე მდგომარეობით სარგებლობა. ასეთი წინააღმდეგობა ეთანასწორება ბნელის ძალების და კონტრ-რევოლუციის ხელის შეწყობას და ქვეყანასაც განადგურებას უმზადებს.

6) რევოლიუციონურ დემოკრატიის და ბურჟუაზიის შორის კოალიციურ მთავრობის შესაქმნელად თანხმობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ რევოლიუციის ბრძოლით შეძენილის აღიარებით, მუშათა და მიწის საკითხის საჩქაროდ გატარების თანხმობით სახელმწიფოებრივ წარმოების წესიერების დამორჩილებით, ფინანსიურ პოლიტიკის საჩქაროდ შემოღების საპიროებათა აღიარებით, დამფუძნებელ კრების მოსაწვევად ყოველივე ზომების მიღებით და მთავრობის პროგრამის—უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დაცვა, ბოლომდე ერთა თვითგამორკვევის საფუძველზედ.

კონტრ რევოლიუციის და ანარქიასთან ბრძოლაში დროებით მთავრობის მიერ მიღებულ აუცილებელმა რეპრესიებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაამხონ დემოკრატულ ორგანიზაციების, გლეხთა შრომის, მუშათა და ჯარისკაცთა (როგორც ზურგში ისე ბრძოლის ველზე) უფლება და მისი განვითარება. ამისათვის ფრიად საჭიროა ადმინისტრატიულ აპპარატის ძირითადი გარდაქმნა, რაიცა სისრულეში მოიყვანს მთავრობის განკარგულებას და საპასუხისმგებლო თანამდებობის გავსებას ისეთ პირებით, რომელნიც თავდადებულნი იქნებიან საქმისათვის და მოქმედების დროს დაყრდნობილ იქნებიან რევოლიუციონურ-დემოკრატულ ორგანიზაციებზედ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ირ. წერეთლის გრძანება

პეტროგრადი. მკათათვის 17. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კომიტეტებს, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთ, საქალაქო და საერობო თვითმართველობათ. შუდეგი რა საშინაო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღსრულებას—ვაძლევ ჩემს უწყებაში მყოფ კომისარებს, მათ მოქმედების სახელმძღვანელოდ ჩვენება-დარიგებას,—მკათათვის 17-ის ცირკულიარით.

საშიშარი დრო, რომელიც დღეს დაუდგა რუსეთს, ავალებს მას მთელი თვისი ძალა მოახმაროს რევოლუციის ხსნას, ქვეყნის განადგურებისგან დაცვას, რევოლუციურ წეს-წყობილების აღდგენას და დემოკრატიულ შემოქმედებით მუშაობას. ასეთია რუსეთის ხსნის გზა.

დრ. მთავრობა არავის ნებას არ მისცემს მოუწოდოს ვისმე სამოქალაქო ომისათვის, არავის ნებას არ მისცემს იხმაროს ძალდატანება და მოიქცეს თვითნებობით, რაც საშიშარს მდგომარეობაში ჩააყენებს თვით ჩვენი ქვეყნის არსებობას. დრ. მთავრობა არავის ნებას არ მისცემს შეიტანოს ჯარში გახრწნილება, შეარყიოს მისი ორგანიზაცია და დისციპლინა და მისი შეამზადოს მისი დამარცხება. ამასთანავე დროებითი მთავრობა ანგარიშს უწევს იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრება სახელმწიფოს კონტრ რევოლუციით, რომელიც ლამობს გამოიყენოს შინაური არეულობა და ბრძოლის ველზე მოახდარი უბედურება და შეაბრუნოს უკულმა სახელმწიფოს საქმეები, დააკარგვინოს ხალხს მისი სარევოლუციო ბრძოლის ნაყოფი და აღადგინოს წინანდელი უწესობები, როცა რამდენიმე კაცთა ინტერესებს მსხვერპლად ეწირებოდა და იყიდებოდა ქვეყნისა და ხალხის არსებითი ინტერესები.

ერული მოქმედება ანარქიული და კონტრ-რევოლუციური სამზადისისა ერთს უმთავრეს საგანს შეადგენს მთავრობისათვის. რევოლუციის გამტკიცება მთავრობას მიაჩნია ქვეყნის ხსნის ერთად-ერთ დონისძიებათ და ამიტომაც მას მიაჩნია აუცილებელ საჭიროებათ ხალხის თანაგრძნობა და ერთგულობა გახადოს რევოლუციის მტკიცე ბურჯათ. მთავრობა თავის მიზნათ ისახავს ანარქიასა და კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლის გარდა რაც შეიძლება მალე გაატაროს ხალხის ცხოვრებაში შინაური და გარეშე პოლიტიკის ის პროგრამა, რომელიც გამოცხადებულია რვა ივლისს გამოცემულ მთავრობის დეკლარაციაში.

ყოველივე ამ რთულ და მეტად საჭირო საგნების განსახორციელებლად საჭიროა მტკიცე რევოლუციონური მთავრობა როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ, რომელსაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული განსაკუთრებული რწმუნებულება—რევოლუციის ხსნისა დ სამშობლოს დაცვისათვის; ეს რწმუნებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიახწევს დანიშნულ მიზანს, თუ როგორც ანარქიისა და კონტრ რევოლუციის ჩასაქრობად, ისე ჯარის სიმამაცის ბრძოლისთვის სათანადოთ მოსამზადებლათ, აგრეთვე სარევოლუციო საქმეთა შემოქმედებისათვის სახელმწიფო მთავრობას და მის წარმომადგენლებს მჭიდრო კავშირი ექნებათ რუსეთის საზოგადო-რევოლუციონურ ორგანიზაციებთან. ამიტომ მოგიწოდებთ ყველა დემოკრატიულად არჩეულ საქალაქო და საერობო თვითმართველობის ორგანოებს, ყველა საზოგადო ორგანიზაციების კომიტეტებს, მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, რომ დახმარება აღმოუჩინოთ მთავრობის კომისრებს მთავრობისაგან დავალებულ საქმეებში. გახსოვდეთ, რომ დროებით მთავრობის კომისრები რევოლუციონურ ცენტრალ მთავრობის ნების გამომხატველები არიან.

განზრახული გვაქვს, რომ საოლქო მმართველობის ორგანოებში რევოლუციონურ-დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გავიყვანოთ. მე გთხოვთ, რომ რადგან ამ განზრახვას ახლო მომავალში განვახორციელებთ, მალე თქვენი მოსაზრებაც შეგვატყობინოთ. გვაცნობეთ თუ ამა თუ იმ გუბერნიის თვითმართველობის ორგანიზაციებისათვის როგორი რეფორმებია სასურველი, გვაცნობეთ აგრეთვე თუ ეს თუ ის კომისარი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდეს. შეგვატყობინეთ აგრეთვე თუ რომელ კანდიდატს სცნობს ღირსეულად ესა თუ ის ორგანიზაცია, რომ კომისრად დავამტკიცოთ. ყოველივე თქვენს მიერ მოწვდილ მოსაზრებებს და წინადადებებს მე, ჩემის მხრივე დიდს ყურადღებას მივაქცევ, რადგან, მე მრწამს, რომ მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება კეთილად რუსეთის შინაგანი მოწყობა თუ ხალხთან მჭიდრო კავშირი გვექნება. შინაგან სამინისტროს საქმეთა მმართველი **წერეთელი.**

ქრონიკა

თბილისი

მანუფაქტურის აღწერა. მკათათვის 17-ს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს თათბირი ჰქონდა, ნოქრების პროფესიონალ კავშირის დელეგატებთან ერთად, მანუფაქტურის აღწერის შესახებ თბილისში. განხილულ იქმნა გეგმა ამ აღწერისა, 6 კაცისაგან შემდგარ კომისიას დაევალა შეიმუშაოს მკვიდრი ფასები ყოველგვარ მანუფაქტურაზე, გარდა ხავერდისა და ფარჩისა. ამ მუშაობის შესასრულებლად თბილისის ყველა სამანუფაქტურო მაღაზია უნდა დაიკეტოს 20—22 მკათათვემდის.

დამატებითი არჩევნები. მკათათვის 18-ს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის პრეზიდუმის თავმჯდომარის ამბანაგად არჩეულ იქმნა ი. ბესელიძე, ხოლო კომიტეტთან არსებულ სასურსათო გამგეობის წევრად აგრონომი გ. დელაქიშვილი.

სურსათი. მკათათვის 18—19-ს სასურსათო კომიტეტის სახელზე მოვიდა 19 ვაგ. ფქვილი და 1 ვაგონი ფხვნილი შაქარი. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა აუკრძალოს კერძო ვაჭრებს პურის და ქერის სყიდვა გუბერნიაში, რადგან ამ საქონლის შეძენა თითონვე კომიტეტმა უნდა მოაწყოს. იმავე კომიტეტმა დაადგინა შეიძინოს გუბერნიის ყველა მაზრებში ერობა და ყველი მცხოვრებთა საჭიროებისათვის.

ცოლის მოკვლა. მკათათვის 18-ს, დილით, ავლაბარში უჩუმბელაშვილის სახლში ნახეს ყელ გამოჭრილი მისი ქალი ოლღა, ცოლი სალდათის სოლომონ დათაშვილისა. ეჭვი ქმარზე მიიტანეს, რომელიც სადღაც მიიმალა.

დამფუძნებელ კრებისათვის არჩევნების მომწყობ საგუბერნიო კომიტეტში წევრებად არჩეული არიან: ქალაქის თვითმართველობის მხრივ გ. ეურული და ა. არღუთინსკი, საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის მხრივ პოპოვი და შატსკი.

საქალაქო არჩევნები. მკათათვის 19-ს, ნაშუადღევის 2 საათზე, გათავდა ვადა საარჩევნო სიების წარდგენისა საარჩევნო კომიტეტში. იმავ დღეს, ნაშუადღევის პირველ საათამდე, კომიტეტმა შემდეგი საარჩევნო სიები მიიღო: 1) № 6 ნავთლუღის რაიონის მცხოვრებლებისა; 2) № 7 ხალხის თავისუფლებისა და სომეხთა სახალხო პარტიების ბლოკისა; 3) № 8 სოციალ-დემოკრატ. პარტიის მეუმრავლესეთა („ბოლშევიკი“) ფრა-

ქციისა (120 კანდიდატი); ამ ფრაქციას პირველ სამ კანდიდატად დაუსახელებია მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და მუშა ა. ოქუაშვილი; 4) № 9 ჰინჩაკისტების პარტიისა (პირველ კანდიდატად დასახელებულია პაპაჯანოვი). იმავე დღეს სიები უნდა წარედგინათ ებრაელებს, მუსულმანებს და დიდუბის მცხოვრებთ.

საქართველო

→ საქართველოს ეკლესიის გარშემო. საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსის მოსაყდრემ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ლეონიდემ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან ქართველ სამღვდელოების დეპუტაციისაგან (ეპისკოპოზი ანტონი, არქიმანდრიტი ამბროსი და დეკანოზი კალ. ცინცაძე): დროებითი მთავრობასთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ დამტკიცა საქართველოს ეკლესიის დროებითი სამმართველოს დეკლარაცია და ამასთანავე კათოლიკოს უწოდა არქიეპისკოპოსი მცხეთისა და კათოლიკოსი—პატრიარქი ყველა ქართველისა; მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მიუჩინა თბილისი. რუსთა სასულიერო უწყების უფროსს ერქმევის თბილისის არქიეპისკოპოსი და კავკასიის ეგზარხოსი. საქართველოს დეპუტაცია უკმაყოფილო დარჩა კომისიის ასეთი დადგენილებით და პროტესტი განაცხადა.

დროებით სამმართველოს კომიტეტმა მოიწონა დეპუტაციის საქციელი და თავისის მხრივ საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა მინისტრ-თავმჯდომარეს, სინოდის ობერპროკურორს, შინაგან საქმეთა მინისტრს ა. წერეთელს და კარ. ჩხეიძეს კომისიის გადაწყვეტილების გამო.

— მკათათვის 18-მოხდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მართველობის კრება, კათალიკოსის, მოსაყდრის ყ.-ს. ლეონიდის თავჯდომარეობით და დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების დელეგატების თანდასწრებით. განხილულ იქმნა საკითხი კათალიკოსის არჩევისა და საქართველოს საეკლესიო კრების მოწვევის შესახებ, ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა კათალიკოსის არჩევა მოხდეს მარიამობისთვის 15 ს, ხოლო საეკლესიო კრება ენკენისთვის 8-ს ამავე დღეს მოხდება კათალიკოსის საზეიმო კურთხევა მცხეთაში.

დამფუძნებელ კრების

საარჩევნო კომისიათა დებულება ამიერ-კავკასიისათვის

(გაგრძელება)

დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ კომისიების ფუნქციები.

ა). დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი ამიერ-კავკასიის ცენტრალი კომისია:

1) შეიმუშავებს იმ საერთო მისაღებ ზომებს ამიერ-კავკასიისთვის, რომელთა საშუალებითაც მიხდება არჩევნები. 2) გაანაწილებს საარჩევნოთ გაცემულ სესხს. 3) თადარიგს დაიჭერს, რომ მთელ ამიერ-კავკასიისათვის ერთგვარი ბლანკები, კონვერტები და ბიულეტენები დამზადდეს. 4) მიიღებს კანდიდატთა სიებს, დანომრავს, გამოაქვეყნებს და სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტებს შეატყობინებს. 5) დაითვლის მთელ ამიერ-კავკასიის ამრჩეველთა ხმებს, გაარკვევს და საქვეყნოთ გამოაცხადებს არჩევნების შედეგებს და არჩეულ პირებს სერტიფიკატებს დაურიგებს.

ბ) დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის შემდგარი საგუბერნიო კომისია: 1) თვალყურს ადევნებს, რომ სამაზრო, საუბნო და სასოფლო კომისიები ამიერ-კავკასიის ცენტრალ კომისიის სახელმძღვანელო ბრძანებას და ცირკულიარებს სისწრაფით ასრულებდნენ. 2) გაუნაწილებს მაზრებს ამიერ-კავკასიის კომისიისაგან მიღებულ ბლანკებს, კონვერტებს და ბიულეტენებს 3) დაამტკიცებს სამაზრო კომისიებისაგან სოფლების ძირითად საარჩევნო რაიონებად დაყოფას, 4) განიხილავს და საბოლოოთ გადასწყვეტს იმ საჩივრებს, რომლებიც მაზრის საარჩევნო რაიონებად დაყოფის დროს მომხდარ უკანონობასა თუ შეცდომაზე შემოვა. 5) თვალყურს ადევნებს სამაზრო კომისიების თავის დროზე მოქმედების დაწყებას. 6) გაანაწილებს სესხს მაზრებ შორის. 7) დათვლის ხმებს გუბერნიაში და შედეგებს ამიერ-კავკასიას შეატყობინებს.

3) სამაზრო კომისია: 1) თვალყურს ადევნებს საუბნო და სასოფლო კომისიების თავის დროზე მოქმედების დაწყებას. 2) დაჰყოფს მაზრებს საარჩევნო რაიონებათ. 3) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების თავის დროზე შედგენასა და გამოქვეყნებას.

4) განიხილავს არჩევნების დროს მომხდარ შეცდომებზე შეტანილ პროტესტებს და საჩივრებს.

5) შესაფერ ზომებს მიიღებს, რომ კანდიდატთა სიები ამომრჩეველებმა დროზე გაიცნონ.

6) დაამტკიცებს საუბნო და სასოფლო კომისიებისგან წარდგენილ ოქმებს.

7) დასთვლის სამაზრო კანდიდატთა სიებისთვის მიცემულ ხმებს.

8) თვალყურს ადევნებს საუბნო და სასოფლო კომისიების თავის დროზე დაარსებას.

9) დაურიგებს მაზრის საუბნო კომისიებს საგუბერნიო კომისიისაგან მიღებულ ბლანკებს.

10) საუბნო და სასოფლო კომისიებს მცოდნე ინტელიგენტ პირებს მიაშველებს.

გ) საუბნო ანუ სარაიონო კომისია: 1) თვალყურს ადევნებს სოფლის კომისიების თავის დროზე მოქმედების დაწყებას. 2) სოფლის კომისიებს სამაზრო კომისიისაგან მიღებულ ბლანკებს გაუნაწილებს. 3) თვალყურს ადევნებს საარჩევნო სიების შედგენას. 4) მიიღებს ცნობებს სასოფლო კომისიებისაგან საარჩევნო რაიონებში მიცემულ ხმების რაოდენობაზე და დაფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო კომისიას აცნობებს.

დ) დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი სოფლის კომისიები შეადგენენ ამომრჩეველთა სიებს, მოახდენენ არჩევნებს, დათვლიან ხმებს საარჩევნო რაიონში და ყველა ამას საარჩევნოდ შემდგარ სამაზრო კომისიას გადასცემენ.

ა) ამიერ-კავკასიის კომისია განაგებს დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეებს მთლად ამიერ-კავკასიაში.

ბ) საგუბერნიო (საოლქო) კომისია განაგებს იმავე საქმეებს მხოლოდ გუბერნია-ოლქში.

ვ) სამაზრო კომისია—მაზრაში.

გ) საუბნო ანუ სარაიონო კომისია—სამილიციო (უოფიან სპოლიციო) უბანში, ანუ რაიონში.

დ) სასოფლო კომისია—საარჩევნო რაიონებში, ე. ი. ერთს, ორს ან და სამ სოფელში.

(დასასრული იქნება)

საგრარო რეფორმათა ლიგის ყრილობა პეტროგრადში

ყრილობა თებერვლის 28-ს დაიხურა, ახლა კი შეგვიძლია გამოვაქვეყნოთ ყველა ის, რაც ილაპარაკეს აგრარულ საკითხის სპეციალისტებმა.

ყრილობისთვის ორი თვე ემზადებოდნენ და ელოდებოდნენ კიდეც, რომ იგი იტყოდა სწორე სიტყვას მიწის საკითხის გადაწყვეტაზედ. მაგრამ ყრილობამ ეს ვერ შესძლო. იგი უმწეოდ აწყდებოდა სოფლის სამეურნეო მოთხოვნილებათა და სოციალისტ პარტიების ლოზუნგებს.

ყრილობის მონაწილეებმა, მსწავლულთ და პრაკტიკულმა მოღვაწეებმა ვერ შესძლეს სოციალისტ პარტიების წარმომადგენლებთან მიდევნება, რომელთაც უარჰყვეს სოფლის მეურნეობის რეალი პირობები და მისი ინტერესები. მაგრამ ამავე დროს ყრილობის მონაწილენი სცდილობდნენ ეპოვათ საბუთები, რაიცა მისცემდათ შემოთხვევას განეხილათ სოციალისტური პროექტები და მიწის გაეროვნების პირობები. მაგრამ ამ საკითხის დროს მომხსენებელთ შემოჰქონდათ მთელი რიგი ნართაულებისა, პირობებისა და სხ., რაიცა სრულიად არ შეესაბამებოდა სოციალისტურ პარტიების პროგრამებს მიწის საკითხის შესახებ.

ერთმა მომხსენებელთაგანმა განაცხადა, რომ მიწის სოციალიზაცია—„მიწა უფლისაა და არა ვისიმე“-ს იდეას ფორმულები სრულებითაც არ შეესაბამება რეალ ეკონომიურს პირობებს. იგი ეწინააღმდეგება სოფლის კულტურულ სასოფლო-სამეურნეო მოქმედებას, იგი სცდილობს გარდიქცეს ორგანიზმად, რომელთაც ერთად მოიქსოვება შრომა და კაპიტალი.

კოლექტიურ მესაკუთრეობის საკითხი ისევ ისე დარჩა.

პ. ა. რაჩინკოვი თავის მოხსენებაში გულდასმით დადგა მეურნეობის კონტინგენტის ნიშნებზედ, რომელსაც უნდა მიენიჭოს უფლება რათა უზრუნველ ყოფილ იქმნას მიწით-აგრარულ საკითხში. ერთი მხრით იგი აღნიშნავდა სამიწადმოქმედო ფონდის უკიდურეს განსაზღვრას რუსეთის მრავალ ადგილებში, ამითვე მან აჩვენა მეურნეობით მუშაობის შეუძლებლობა და მეორე მხრით ნათლად დაამტკიცა ის საშიშროება, რომელსაც გამოიწვევს მესაკუთრეობის პრინციპის დარღვევას, როგორც გლეხებისა ისე მემამულეებისას.

ყრილობის წევრთა უმეტესობამ განაცხადა, რომ მიწის მესაკუთრეობის ფორმ ს განსაზღვრის დროს, ანგარიში უნდა გაეწიოს გლეხთა უკვე ჩამოყალიბებულ უფლებრივ შეხედულებებს. მ. დ. ბრუცკუსის წინადადება, გლეხი, რომელიც გამოვა „ობშჩინიდან“ კვლავ ადგარ უნდა მიიღონ უკანვე.

საყურადღებო იყო ნ. ოგანოვსკის მიერ დასურათებული მიწის გარდაქმნის საქმე. მან მიზნად დასახა მიწის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, მიწის ტექნიკურად მოწყობის განხორციელება, სამწუხაროდ მის მოხსენებას რეალობა ნაკლებ ახასიათებდა.

მხოლოდ ერთში შეთანხმდნენ ყრილობის წევრები და თვით ს.-რ., რათა სოფლის მეურნეობის ინტერესებისთვის მიწის ჩამორთმევა ფასით მოხდეს.

ყრილობა სვინდისიანად სცდილობდა რეალ მოთხოვნილების—პოლიტიკურ ლოზუნგებთან შექსოვებას, მაგრამ ეს მიზანი მან ვერ გადასწყვიტა და საადგილმამულო რეფორმათა გასაყვანად არავითარი გზებიც არ დასახა...

ყრილობამ შეასრულა დიდი სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ მან გააშუქა მთელი სიმძიმე მიწის საკითხისა და შეუძლებლობა მისი გაშუქება სოციალისტების ლოზუნგთა ტრაფარეტით. მეორე ღვაწლი ყრილობისა მდგომარეობს მასში, რომ წაკითხულ შინაარსიან მოხსენებებში ნათლად გამოირკვა აგრალულ საკითხის ის ელემენტები, რომლის გადაწყვეტაც ყოველად შეუძლებელია გამოუანგარიშებლად.

შოვინიზმი თუ პატრიოტიზმი

ამ ბოლო დროს არა ერთხელ უთქვამთ ჩემთვის, რომ იმ პარტიას, რომელსაც ამ ჟამად თქვენ თანაუგრძნობთ, შოვინისტური მიმართულებისა არისო! ამაზე სათანადო პასუხიც მიუღია ამის მთქმელს. გასაკვირველია, როდესაც ადამიანი მხოლოდ სიტყვით ამტკიცებს თავის ნათქვამს და არავითარი მოტივით არ ხელმძღვანელობს, არავითარ საბუთს არ ასახელებს. ერთი-მეორეს ათვალწუნება და მასხარად აგდება—ეს რომ ჩვენი ძველი ჩვეულებრივი შუდლის და შურის ბრალია, ამაში ეჭვიც არ უნდა, მაგრამ სინათლე, სიმართლე, პეშმარიტება ნუ თუ ყოველთვის დამარხული და დაბუნდოვანებული უნდა იყოს? ნუთუ იმ ხალხს, რომელსაც თავისი ერის კეთილდღეობა დაუსახავს, თავის ერის განათლება, კულტურული ზრდა-განვითარება, არავის დაჩაგვრა, არავისთან ჩამორჩენა, თავისი საკუთრების შერჩენა სწყურიან, ნუთუ ეს ხალხი შოვინისტები არიან? რას ნიშნავს შოვინიზმი? ერის გამნადგურებელი, მისი დაქვეითების და სულიერი სიღარიბის და სიდატაკის მომასწავებელია და სხვა არაფერი. სირცხვილი იმ ერს, ვინც მართლა შოვინისტური მიმართულებით, ვიწრო ნაციონალური მისწრაფებით არის აღგზნებული. ვინც ამ იდეით არის გაჟღენთილი—ეს ნიშანია მისი სრული უკულტურობისა და გაუნათლებლობისა. შოვინიზმი ყოველთვის ერის კინკლაობის მომასწავებელია, რაიც სრულიად არ შეჰფერის გონიერ, კულტურულ ხალხს. შოვინიზმის წოდება იმ ორგანოს, რომელსაც არავითარი ამის მზგავსი არა სცხია რა და სრულ სოლიდარობით და ჰუმანიურ იდეებით არის გატაცებული—ეს ჩვენ დიდ შეურაცყოფად და ცილისწამებად მიგვაჩნია. რად გვიკვეხნიენ ასე? იმიტომ, რომ ნორჩი ძალა შეუძლიანთ მალე დაასამარონ და როგორმე მოახერხონ მისი მოსპობა. ჩვენში ბევრი კოსმოპოლიტობს. მაგრამ როგორც ყოველგან ეს კოსმოპოლიტობა სიტყვით არის და არა საქმით. საერთოდ, მე რომ მკითხოთ, კოსმოპოლიტობა არ არსებობს. ეს სიცრუეა და შეუძლებელიც. და აი რად: ადამიანი ბუნების წინააღმდეგ ვერ წავა, ვერ წავა, რადგან იგი მჭიდროდ უკავშირდება იმ ადგილს, სადაც დაბადებულა, სადაც აღზრდილა, სადაც გაუტარებია თავისი სიცოცხლის უმეტესი დრო. ის ადგილი მეტად ძვირფასად ხდება მისთვის. იქ მცხოვრები ხალხი კი—მახლობელი. სწორედ აი აქედან წარმოსდგება ის გრძნობა, რომელსაც ჩვენ პატრიოტულ გრძნობას ვეძახით. როდესაც ლაპარაკობენ კოსმოპოლიტობაზე, ეს გახლავთ ადამიანის ლიბერალობა, ჰუმანიზმი. რაიც მისი კულტურულობის მომასწავებელია. კოსმოპოლიტობა ხოლოდ პატრიოტიულ გრძნობიდან იწყება. თუ ადამიანს თავისი ხალხი არ უყვარს, სხვისას ვერ შეიყვარებს, თუ თავის სახლ-კარს ვერ მოუვლის სხვისას უფრო ვერ უპატრონებს. ჯერ შენი და მერე სხვისი. ჯერ შენი თავი გაიცან მერე სხვა. როდესაც ადამიანი ჯერ გლეჯა. თითონ იქნება დაკმაყოფილებული და წელში გამაგრებული ყოველივე მხრით, მხოლოდ მაშინ შეუძლიან, რომ სხვას დაეხმაროს და სხვისთვის იზრუნოს. ჩვენ კი ისე ვერ ავალთ მაღალ კიბეზე თუ პირველ საფეხურზე ფეხი ვერ შეგდგეთ. ზოგ ადამიანს კი რომ ჭკითხოთ შესაძლოა ერთი ფეხის დაკვრით უცბად მაღლა ახტომა. ადამიანს საერთოდ უყვარს ორგინალობა, აცა, ერთი რას გამოვიგონებ, რომ ყველას ყურადღება მივიქცევიო. და რატომაო ვითომ? თუკი სხვაგან კეკინობენ კოსმოპოლიტობას და მაღალ-მაღალი სიტყვებით ერთი რახა-რუხი და აურზაური გააქვთ, ჩვენშიაც რომ იკეკინონ რა იქნება იმით?! იქნება მოწყალებით გადმოჰხედონ უკან დარჩენილთ და წინ წასწიონ!... დაე ვისაც უნდა იყვირონ ხმა მაღლა მე კოსმოპოლიტი ვარო! მაინც მისი ყვირილი, ყვირილად დარჩება და სხვა არაფრად. ჩვენ კი ყვირილისთვის არა გვცალიან. ჩვენ ყოველთვის მედგრად დავიცვამთ ჩვენი სამშობლოს ინტერესებს. არც სხვას დავჩაგრავთ და არც სხვას დავეჩაგვრინებით, თუ ჩვენ სამშობლო ქვეყნის იარების გამთელებას ვსცდილობთ ეს შოვინიზმი კი არ არის არამედ პატრიოტიზმი. შოვინიზმი და პატრიოტიზმი! დიდი კონტრასტია მათ შორის. გთხოვთ სასტიკად გაარჩიოთ. ანგარიშ მიუცემლად ყალობას სხვას ნუ მოახვევთ. გადაჰხედეთ მთელ ქვეყანას! რა ხდება? შეხლა-შეტაკებისაგან დედამიწა ირყევა. რისთვის? სამშობლოსთვის. ყველა ამისთვის იბრძვის, ყველას სამშობლოსთვის უძგერს გული, ყველაფერს მას სწირამენ და ანცვალებენ სიცოცხლეს. ჩვენც სწორედ ამგვარი ბრძოლით მოვიპოვებთ ჩვენ თავისუფლებას. ალსდგება ტანჯული ხალხი და რაც რომ აქამდის მწუხარება გამოუვლია დაე ეხლა კი მის გულმკერდზე ია და ვარდი გაიშალოს და ეს იქნება სიმბოლო მისი უკვდავებისა...

ვ. გარრიკი.

ქართველთა ერთობისათვის

მეცნიერება, გეოლოგია ამბობს, რომ ძველათ შავი და კასპიის ზღვა შეერთებული ყოფილა, სამხრეთ რუსეთის მინდვრები ზღვით ყოფილა დაფარული, მაგრამ მოხდა საშინელი მიწის ძვრა და აღიმართა კავკასიონის მთები. ზღვა გაქრა; დარჩა მარტოოდენ კასპიის ზღვა, შედარებით პატარა. ძველათ, გეოლოგიური ეპოქაში ამ გვარი მოვლენა ხშირი ყოფილა. დედა-მიწას თავისი ცხოვრება და ისტორია აქვს; მისი ზურგი იკუმშებოდა და ტოკავდა; ეს იყო საშინელი მიწის ძვრა. ამ გვარათ დედამიწის ზურგი იცვლებოდა, მინამ მიიღებდა იმ ფორმას, რომელიც აქვს დღეს.

დღეს ამ გვარივე მოვლენას წარმოადგენს საშინელი საერთა-შორისო ომი. ერები და სახელმწიფოები იკუმშებიან და ტოკავენ ევროპაში და წინა აზიაში. შეიძლება ზოგიერთი ერი მოისპოს და ზოგი აღორძინდეს. მოისპოს სერბეთი და მთაშავეთი. ბელგეთი და რუმინეთის ბედი ბეწვზედ ჰკიდია. თუ გერმანია დამარცხდა, მოისპობა იმპერია და დარჩება ძველებურათ სამთავროებათ დაქსაული გერმანეთი. თუ რუსეთი დამარცხდა, დარჩება მოსკოვის სამეფო. პოლონეთი აღორძინდა; აღორძინდა უკრაინა, რომელსაც თავისი ნამდვილი სახელმწიფო თავის დღეში არ ჰქონია. ფინლიანდია, რომელიც სვერიგეთის პროვინცია იყო, დღეს ლამის სრულებით დამოუკიდებელი გახდეს.

ამ საშინელ დროში საჭიროა მთელი ერი შეერთებულად წელზე ფეხს იდგამდეს, რათა უბედურებას თავი დაეხწიოს. ეხლა არ არის დრო ეკონომიური და სოციალური კითხვების გარჩევისა. ეკონომიური ნიადაგზე გაფიცვებმა რუსეთში წარმოება სრულებით მოსპეს. და შეიძლება სრულებით შიშვლები დავრჩეთ და დავიმშეთ. ამ გაფიცვებმა მართებლობის ორგანიზმი მოშალეს. და განა ეს გაფიცვები აუცილებელი საჭირო იყო? თბილისში მოხდა ოფიციანტების გაფიცვა. ოფიციანტები თავის დღეში შეივწროებულ და შეწუხებული არ ყოფილან მუშებთან ან გლეხებთან შედარებით; დღეს კი... უბრალო სასადილოს დახლი იყო დღეში გაფიცვის წინ 600 მანეთი. ოფიციანტებს აქედან ეძლეოდათ 15 პროცენტი, რაც შეადგენდა დღეში ცხრა თუმანს. და ფული ეკუთვნოდა 4—6 ოფიციანტს. ამ ანგარიშით თითო ოფიციანტი თვეში შოულობდა 450—600 მანეთს. ეს საკმარისი უნდა იყოს.

ქართველში გლეხობას მემამულეთა. თვის მიწები ჩამოერთმევიათ და დაუყვიათ. ეს ძალმომრეობაა და ცარცვა-ეხლა, ამ საშინელ დროში ძალმომრეობა და ცარცვა-გლეჯა, ეკონომიური და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით წარმოების მოსპობა, რევოლუციის ხანჯლის დაკვრაა ზურგში.

ხალხნო და ჯამაათნო! სმენა იყოს და გაგონება! ამ საშინელი კატაკლიზმის დროს ერთობაა საჭირო და არა დაქსაქსვა. სამშობლო განსაცდელშია! შეიძლება საქართველო მოისპოს, ქართველობა გაწყვეს. შევერთდეთ, გავიდეთ სამშვიდობოს და შემდეგ ბრძოლა სამართლიანობისათვის ადვილი იქნება.

ბ. გამხახურდია.

პატარა ფელეტონი

სოციალისტის სიყვარული

(ზღაპარი)

I

იყო ერთი სოციალისტი ისიდორე. როს მოიდალ-მოიქანცა სოციალისტობაში სიყვარულიც მოუნდა.

ისიდორე „ერთობის“ მიმდევარი იყო და... ჰსურდა რომ ცოლიც თავის პაკისა ჰყოლოდა.

ისიდორე მიდგა-მოდგა და... ერთს ქალს მიაგნო.

— მე მსურს შენ შეგირთო,—გამოუცხადა გულის პასუხი ისიდორემ ზენას: გინდივარ თუ არა? უნდა იყვე ჩემსავით „მეერთობე“, გიყვარდეს ყველანი ერთნაირად...

— არა მსურხარ,—მიიღო ცივი უარი ზენასაგან: მე ყველას ერთნაირად სიყვარული არ შემიძლიან... ერთი გული მაქვს ყველას ვერ გაუნაწილებ...

დადონებულმა ისიდორემ მონახა ახლა სხვა ქალი ეთერო.

— მიყვარხარ!—შესჩივლა თავის გულის ზრახვანი ისიდორემ ეთეროს: თუ თანაუგრძნობ ჩემ მრწამს, ნუ დაიშურებ ჩემთვის ალერსს..

— ბრძანეთ.

— მე „ერთობის“ სოციალისტი ვარ და... მინდა რომ ცოლიც თანამოზიარე მყვანდეს... ყველა მისთვის ერთი იყოს...

— მე ვერ შევძლებ... მე ვერ შემიძლიან..,—იუცხოვა ქალმა: ყველას ვერ ვასიამოვნებ... ძალ-ღონე არ შემწევს...

დაწუნებულმა სანეფომ გამოსძებნა მესამე სადედოფლო „კოსმეტიკა.“

— მე წელიწადი—თორმეტი თვეა-ამხანაგ დავეძებ და ვერ მიპოვნია,—გამოუტყდა „ცოდვაში“ ისიდორე: მე ერთობისტი ვარ, თუ ჭკვაში გიჯდება და ხელსაყრელია, მომთხოვდი, მე ქმარი, შენ ცოლიო...

— შენ კი გენაცვალე შენა,—გადაეხვია კოსმეტიკა: სანთლით დავეძებდი მაგნაირ კაცს და ძლივს არ გიპოვნეო... „ლავეს, პარონ ჯან“! ჩემთვის ყველა ერთია... ერთობა ხელ საყრელიაო...

დაიწერეს ჯვარი და დიდი ამბით გადიხადეს ქორწილი: ფაეს „შაფერი“ შაშა დაშნაკაშვილი იყო, ქალისა კიდევ ნოე ჯორდანიანცი იყო! თამადათ ნიკო ყროყინოვსკი ბრძანდებოდა...

ისიდორე ბედნიერი იყო! ლეკურიც კი დაუარეს ნეფე-დედოფალმა.

II

სიკვდილსაც დაჰვიწყებიხართ, მკითხველო! მეც დამავიწყდა მეთქვა, რომ ისიდორეს ჰქონდა თილისმი „ენა“ და მით მოჰქონდა თავი.

ამ თილისმი-ენას აგეთი თვისება ჰქონდა, რომ... რაც უნდა დაეროშა ბრბოს სჯეროდა: რომ ეთქვა: ზზე დილით ჩადიდის და ღამე ამოდისო, უვიცნი უჯერებდნენ! ან არა და... რომ ეთქვა ჯანდაბა მხარეს საქართველო სჯობია, მყისვე კრუა-პოიებით ივ ებოდა საქართველო...

დიახ, ისე უყვარდა თავის პატარა-ძალი კოსმეტიკა ისიდორეს, რომ ეს თილისმა მას მიაბარა.

— თუ ეგ თილისმა-ენა დამეკარგა, —თანაც გაოფრთხილა ისიდორემ კოსმეტიკა: იცოდე მეც ხახა მშრალი დავრჩებიო, ეგაა ჩემი ავლა-დიდებაო.

— ვიცი, ვიცი,—კვერს უკრავდა კოსმეტიკა ისიდორეს: განა არ ვიცი თილისმის მეტი შნო და ჭნარი არა გაქვსო... ჭკვა რომ გქონდა, თილისმი კი არ გექნებოდაო...

III

დაჯექ შენც! ყველა ერთია...

— კი მაგრამ,—ძლივსდა ლუღლუღებდა ისიდორე: სად დავჯდე, ადგილი აღარ არის... ყველას კაი ადგილი დაგიკავებიათ... ძირს ხომ არ დავჯდები ნაგვიანი—დაუგვალია?!

— მე ადრე მოვალ, კოსმეტიკას თავი მერგო,—დასცინოდა შაშა დაშნაკაშვილი: სად იყავ აქნობამდე?!

— მე ცოტა გვიან მოვალ, კოსმეტიკას გული მერგო,—მასხარად იგდებდა ნოე ჯორდანიანცი: შენ თითონ არ ხარ ერთობის მგალობელი?!

— კარგი და... მე რიღას მაზალო ვარ?—იბნეოდა ეჭვ შეპყობილი ისიდორე: ეს ერთობა?—ბარგუნებთ—მიწილებთ?

— ფიფბერიც შენ,—გულს უკლამდა კოსმეტიკა: ჩქარა თორემ... აგერ მოდიან, ხელ(ბარიელი დარჩები...

— ხა, ხა! თხის პატრონს, თხის კუდი,—გულის გასახეთქათ ხარხარებდნენ მეზობლები: კიდევ კარგი, დროზე მოხვალ და ეგ გერგო, თორემ...

— სადაა ჩემი თილისმა—ენა,—ვეღარ ინელებდა შეურაცყოფას ისიდორე: მამე აქ ჩქარა...

— ისიც ამხანაგებს გაუნაწილე,—ხარხარებდა კოსმეტიკა: ხა, ხა!

თავლაფ დასხმულ ის დორეს ენა დაება...

თავმოყვარეობათ შელახული ისიდორე მუნჯი გახდა...

— ჰფუ! ფუ!—მხოლოთ იფურთხება ხოლმე როდესაც „ერთობას“ აგონებენ—„ნიშნები ხოლმე!

ვ. დუშელი.

თბილისის გუბერნიის საეკლესიო პერსონალის კრება

17 ივლისის კრება.

დილის 11 საათზე ყრილობის თავმჯდომარემ ექ. ავალიშვილმა გახსნა კრება. მორიგ საკითხად არის, მატერიალური მდგომარეობა მოსამსახურეთა, მოხსენებას კითხულობს ეკონომი ჯანდიერი და საშინელ სურათს ხატავს, თუ რა გაჭირვებას განიცდის სოფლად განსაკუთრებით საშუალო პერსონალი, რომელიც ამ ზღაპრულ სიძვირის დროს ღებულობს 35 მ. უფრო ფართოთ ეხებიან ამ საკითხს ეკ. ნაზარეტიანი, რომელიც ასურხატებს, თუ როგორ უყურებენ საეკლესიო პერსონალს განსაკუთრებით უფრო მდიდარი ხალხი, რომელიც უფრო ნაკლებს იხდის ავადმყოფის გაშინჯვის დროს, ვიდრე ღარიბი. ბევრი მაგალითების შემდეგ ყრილობა შემდეგ რეზოლიუციას ღებულობს: „ვინაიდგან დღევანდელი ჯამაგირები საეკლესიო პერსონალისა გუბერნიაში არ აკმაყოფილებს მათ პირველ საჭირო მოთხოვნილებას, ამიტომ წინადადება მიეცეს არჩეულ საბჭოს შეავიდეს შუამდგომლობით უმაღლეს საეკლესიო კომისარიატში გადადებული იქმნას ეკლესიების ჯამაგირი დღევანდელი ორჯერ, მხოლოდ საშუალო პერსონალის $^{2}/_{3}$ იმ ჯამაგირისა, რომელსაც ეკლესიები მიიღებენ. დაზღვეულნი იქმნენ ყველანი, მოწესრიგდეს გადაყვან-გადმოყვანა სოფლებში პერსონალის“. ეს იმან გამოიწვია, რომ როცა რაიმე ეპიდემია ჩნდება და გზავნიან საეკლესიო პერსონალს საშველად, მას ეძლევა 3 კაპ. ვერსზე, მხოლო თითონ სცდილობს 12—15 კაპ., მორიგი საკითხი პროფესიონალური კავშირის დაარსება. მთელი გუბერნიის საეკლესიო პერსონალისა. კრება ამტკიცებს არსებულ ცენტრალურ კახეთის კავშირს, რომელსაც ევალება შექმნა საერთო თბილისის გუბერნიის კავშირისა და გადადიან მორიგ საკითხზედ. საადგილო-მამულო დახმარება სოფლად. კრება აზრის გაცვლა გამოცვლის შემდეგ ადგენს „ვინაიდან დიდი გაჭირვებაა სოფლ. დ წამლების შოვნისა, და არსებული აფთიაქები უწამლოთ არიან, ამიტომ ეთხოვოს ერობათა კავშირს დაუთმოს ფულით სოფლებისთვის წამალი, აგრეთვე გამოითქვა სურვილი ყველა კერძო აფთიაქების მუნიციპალიზაციისა.

ყრილობა გადადის მსჯელობაზედ თუ რა საშუალებას მიმართონ ფარმაცევტების უტაქტიკო საქციელს, რომელთა თბილისის კავშირმა ქადალდი გამოგზავნა საორგანიზაციო ბიუროს სახელზედ, რომ იგინი უარყოფით ეკიდევიან ყრილობას. დაადგინეს ამის პასუხი თვით ბიურომ მისცეს. დარჩა არჩევნები საბჭოსი და სარევოლიუციონერო ბიუროსი, რომელიც უნდა ეცადოს რევოლიუციის გაღრმავებას სოფლად, და რომელმაც ყოველგვარ პარტიის გარეშე ამოძრაფოს საეკლესიო ნაწილის ინტელიგენტური ძალა პროვინციაში, ვინაიდგან ახლო დგანან ხალხთან. არჩევნები გადიდო სხვა და სხვა მოსაზრებით მეორე დღისთვის.

18 ივლისის კრება—არჩევნები.

კრება გაიხსნა დილის 11 საათზედ ექ. ავალიშვილის თავმჯდომარეობით. გასარჩევია საკითხი სინოდისის სასამართლოს დაარსების შესახებ. ყრილობა აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამტკიცებს ცენტრალურ კახეთის კავშირთან არსებულ სასამართლოს იმ დრომდის ვიდრე მთელი საგუბერნიო პერსონალი შეკავშირდება. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა დაასახელოს საგუბერნიო საეკლესიო მმართველობასთან ასარჩევ საბჭოს კანდიდატებად, მოითხოვენ კრების შეწყვეტას, თავმჯდომარე თხოვნას აკმაყოფილებს. კრების გახსნისას ეკლესიებისაგან წამოყენებული იქმნა ექ. დ. ჯავახიშვილი, ფერშლებისაგან ვ. საათაშვილი, კოვლელიშვილი, ბოკერია, კაპუსტინი—ბებია ქალებიდგან ბერიძე და შიუკაშვილისა, ფარული კენჭის ყრით არჩეული იქმნენ ექ. დ. ჯავახიშვილი, ფერშლები ვ. საათაშვილი და ა. კოვლელიშვილი, ბებია ქალებიდან შიუკაშვილისა. ყრილობა არჩეულთ ტაშის კვრით აჯილდოებს, ეკონომ

ტუმადჯანოვი, მოკლე მაგრამ შინაარსიან სიტყვით მიჰმართავს არჩეულთ და სხვათა შორის ხაზს უსვამს შემდეგს „თქვენ მოგენდოთ ჩვენი ბედ-იღბალი და აგრეთვე იმ ხალხის, რომელნიც ავადმყოფობით სულს ღაფავსო, იმედია თქვენზედ მონდობილ საქმეს კეთილ სინდისიერად ემსახურებით, და ჩვენთვის კი ყოველივე თქვენი სიტყვა კანონი იქნებაო: აგრეთვე სიტყვას ამბობს და ულოცავს ექ. ავალიშვილი. არჩეულნი მადლობას უხდიან ყრილობას ნდობისათვის და პირობას აძლევენ სინდისიერად შეასრულონ მათზედ მინდობილი საქმე (ტაში). დარჩა ასარჩევი სარევოლიუციო ბიურო, რომელიც უნდა ეცადოს საექიმო ინტელიგენტთა ძალით და სხვ. დახმარებით ეცადნონ გააღრმავონ რევოლუცია სოფლად და დაჰფანტონ ის უკუდმართი შეხედულობანი გლეხებში, რომელიც დღეს გამეფებულია სოფლად. სარევოლიუციო ბიუროში ექიმების თხოვნით, როგორც თავმჯდომარე აცხადებს ექ. ვ. მუსხელიშვილს თანხმობა განუცხადებია მუშაობის, ყრილობა ერთხმად ირჩევს, ამის გარდა არჩეული იქმნენ ფელდშარი საგარაძე (სოც. დემ,) და ბოკერია (სოც. ფედერალისტი). ყრილობა ყველას ტაშით აჯილდოებს. ექ. ანდრონიკაშვილი კითხულობს თავის წინადადებას და ამბობს „ბიუროს უნდა ეცადოს განურჩევლად პარტიისა დაგზავნოს სოფლად შეგნებული პირები, და ბიუროს დამოკიდებული უნდა იყოს ყველასაგანაო“. ყრილობა ამ წინადადებას ღებულობს. ამის შემდეგ ექ. ბერიევის წინადადებით ყრილობა მადლობას უხდის კახეთის ცენტრალურ სექიმო კავშირს და ხაზს უსვამს. „რომ ეს კავშირი, რომ არ ყოფილიყო იქნება ჩვენ აქ შეკრებილნი არ ვყოფილიყავით“ ამის შემდეგ ყრილობა მადლობას ეუბნება როგორც ცენტ. კახეთის საექ. კავშირს. ყრილობის პრეზიდიუმს და საორგანიზაციო ბიუროს, რომელიც შეღიოდნენ ექ. ანდრონიკაშვილი და ფელშარი ვ. საათაშვილი. ყრილობა საღამოს 7 საათზედ დაიხურა.

ყრილობის წევრი.

სრულიად საქართველოს გერ-მონაზონთა ყრილობისთვის

(მოწოდება)

დღევანდელი ჩვენი ცხოვრება მთლად გარდაქმნის პროცესშია. უარყოფილ წესწყობილების ნანგრევებზე ისახება ახალი ფორმები სასურველი მყობადისა. ყოველი ჯგუფი, ანუ წრე, რომელსაც კი სწამს მომავალი, გაორკეცებული ენერგიით ისწრაფვის, რათა ისარგებლოს მოპოვებულ უფლებით და თვითვე შექმნას სასურველი პირობები თვისი მომავალი ცხოვრებისა... ჩვენმა მშობელმა ეკლესიამ უკვე მოიპოვა თავისუფლება და ახალს ნიადაგზე აწყობს თვის ორგანიზაციას. ჩვენი მშობელი ერიც ირაზმება თავისუფლების მოპოვებისთვის...

ნერც ჩვენ ჩამოვრიებით მათ. ჩვენც შევადგენთ განუყოფელ ნაწილს ჩვენ ერის სხეულისას. დღეს ისე არავის ეჭირს აღდგომა და განახლება, როგორც ქართულ მონასტრებს და ქართველ ბერ-მონაზნობას. თქვენ კარგად იცით აწინდელი მათი დამაღონებული მდგომარეობა. მთელი მეცხრამეტე საუკუნის უპატრონობამ და დევნამ სამარის კარს მიიყვანა და ეჩვენებდა მათ სრულს მოსპობას. ოდესაც ერის მნათობნი და მეთაურნი, მდიდარნი თავისი სულიერი და ქონებრივი ძლიერებით, დღეს იგინი ფერფლად ქცეულან, სადაც თავი შეუფარებიათ ორიოდე ღა განდეგილს. ჩვენ თვალწინ ხდებოდა ეს შეგნებული და სისტემატიური ნგრევა ჩვენს დიდებათა, უაღრესი მტკივნეულობით განვიცდიდით ყოველს, ტაძარზე უპატრონობისაგან ჩამოვარდნილს, ქვას, მაგრამ უფლება აყრილ ვიყავით, რათა ხელი გაგვეწოდა მის შესაჩერებლად,—ძარღვი ჩვენი საეკლესიო მოქმედებისა მტრისგან დამბლად იყო ქცეული...

დღეს უკვე ეს უფლება მოპოებულია და ჩვენს სურვილზე და უნარზეა დაყრდნობილი ჩვენი აღდგენა. თუ გვსურს ჩვენ ჩვენი განახლება და მომავალი, ჩვენვე უნდა ჩავბეროთ ცხოველმყოფელი სული ამ ნანგრევებს და ფერფლისგან აღვადგინოთ დღეს დაცემულნი ჩვენი სავანენი და ბერმონაზონობა; ჩვენ უნდა აღვადგინოთ მათი მთლიანი სული და ორგანიულად შევადუღოთ იგი ჩვენს მდიდარს ტრადიციებთან, რომლიდგანაც უნდა ამოვკრიბოთ სახელმძღვანელო აზრები და ზოგადი სახე ჩვენი შემოქმედებისა; ჩვენ უნდა განვაცხოველოთ ჩვენს შეგნებაში ჩვენი სწრაფვის მიზანი და შევიმუშაოთ მისკენ საგალი გზის გეგმა.

აი ამისთვის, მოგიწოდებთ თქვენ სრულიად საქართველოს ბერმონაზონთა კრებაზე, რომელიც განზრახულია ქალაქ თბილისში მახლობელს დროში. კრების მოსაწვევად და საპირო მასალის დასამზადებლად თბილისში მუშაობს წინასწარი საორგანიზაციო ბიურო, რომელიც მოუწოდებს ყველას, განსაკუთრებით კი თვით ქართველ ბერმონაზონობას, დეეხმაროს მას როგორც საორგანიზაციოთ შრომაში, აგრეთვე ყოველგვარი მასალის დამზადებაში, მოხსენებების წაკითხვაში და სხვა; და უმორჩილესად სთხოვეს მათ, წინდაწინვე აცნობონ, ვინ ან რა სახით მოისურვებს მონაწილეობის მიღებას განზრახულ საქმეში.

ყოველგვარი მიწერ-მოწერა ამ საქმის შესახებ უნდა მიიმართოს საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის სახელზე: ქ. თბილისი, სასინოდო კანტორის შენობა, არქიმანდრიტს მ. ნაზარს.

საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე **ნაზარი არქიმანდრიტი**
მდივანი **ივ. ბერიაშვილი**

ქართულ სამხედრო ყრილობის გამო

(28 **კორპუსის ქართველ მხედართა ხმა**).

4 ივნისს 28 კორპუსის ქართველ მეომართა საერთო კრებაზე გადაწყდა გაიგზავნოს პეტროგრადში სამხედრო მინისტრ კერენსკისთან დელეგაცია, რომელიც ითხოვს, სრულიად საქართველოს ქართველ მეომართა დელეგატთა ყრილობის ნებართვას.

მოგეხსენებათ დღეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი ჟამია და ყოველი ერის ახლო თუ შორი მომავალი იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად ერთ სულოვნად, ყოველ მხრივ მოფიქრებულად, მიზან-შეწონილად იმოქმედებს და წინდაწინვე გათვალისწინებულ გარკვეულ რეალ გზით გასწევს თავის მომავლის საუკეთესოდ მოწყობისთვის.

გაფანტულ ქართველ მხედრობას გვინდა შეკრება, ერთმანეთის აზრის გაგება ჩვენს აწმყოზედ და მომავალზე ერთი გარკვეული გზის არჩევა და მტკიცე ორგანიზაციების შეკვრა. თითქმის ერთი მეექვსედი ჩვენი ხალხისა გაფანტულნი ვართ სხვადასხვა ფრონტებზე, ერთმანეთში არავითარი კავშირი არა გვაქვს, არ ვიცით რა ხდება ჩვენს გარშემო, თვით ჩვენს ქვეყანაშიაც კი და დიდ ცოდვად არ ჩაგვეთვლება, რომ მომავლის ბედნიერად მოწყობისთვის მუშაობაში განზე გავუდგეთ შინ დარჩენილებს და ჩვენი ხმა და სურვილი არ გავაგონოთ მათ? მერე სახლში რომ დავბრუნდებით და, ვსთქვათ გაკეთებულ საქმისა ბევრი რამ მოგვეწონოს, მაშინ ხომ თავში უნდა ვიცეთ, რატომ ჩვენ კი არა ვსთქვით, რა, რატომ შესაფერისად არ ვიმოქმედეთ იქნებ ასე არ მომხდარიყო!, მაგრამ რაღას უშველით მაშინ? გვიან იქნება თითზე კბენანი.

აუცილებლად საჭირო დელეგატთა შეკრება-მოლაპარაკება და ჩვენი დარაზმვა სამუშაოდ. ერის მომეტებული ახალგაზრდა და საშუალო ხნის ჯანსაღი შვილი ხომ ჯარშია გაწვეული და აბა უჩვენოთ ხომ სრული არ იქნება ქართველი ერის ხმა. ეს გაითვალისწინა კრებამ და გაგზავნა დელეგაცია მინისტრ კერენსკისთან. კრება მოფიქრებით მოექცა ამ სერიოზულ საკითხს. მან საჭიროდ დაინახა, სანამ მინისტრ კერენსკის მიმართავდენ, დელეგატებს უნდა უსათუოდ ენახათ ჩვენი მოღვაწენი—რუსეთის რევოლიუციის ბელადნი კარლო ჩხეიძე და მინისტრი ირაკლი წერეთელი, აგრეთვე პეტროგრადში საქართველოდან ჩამოსულნი ჩვენი თანამემამულენი, რომელთანაც უნდა მოელაპარაკნათ და გულდასმით მოესმინათ მათი აზრი იმ კითხვებზე, რომლებიც ჩვენ გვაწუხებდა. კრებამ საერთო დელეგატთა ყრილობის დაახლოებითი დღის წესრიგი შეიმუშავა და გადასცა დელეგაციას. აი დღის წესრიგი: 1) ჩვენი დამოკიდებულება ომთან და ზავთან. 2) ქართველ მხედართა ორგანიზაციათა შეკავშირება კულტურულ განმანათლებელ მიზნით და მხედართა შორის მოქალაქობრივ დისციპლინის და სულის შესაქმნელად. 3) როგორ უნდა მიიღონ ქართველმა მეომრებმა დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობა რომ მათი ხმა, როგორც ქართველების, არ დაიკარგოს? 4) საჭიროა თუ არა ქართველ პოლკების შედგენა? 5) მიწის საკითხი ჩვენში. 6) ჩვენი განწყობილება მეზობელ ერებთან. 7) ქართველნი მხედარნი და ეროვნული საკითხი.

9 ივნისს საღამოს დეპუტაცია პეტროგრადს ჩავიდა, მაგრამ მას მხოლოდ 12 ივნისს მიეცა შემთხვევა კარლო ჩხეიძე და მინისტრი ირაკლი წერეთელი ენახათ, მანამდის კი დელეგატებმა ინახულეს საქართველოდან და ფრონტიდან ჩამოსულნი თანამემამულენი, მათ შორის ვექ. შალვა მესხიშვილი და ექ. ივანე ლორთქიფანიძე (სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა ყრილობის პრეზიდიუმის მდივანი). სრულიად რუსეთის მ. და ჯ. კ. კაცთა დელეგატთა ყრილობის კრება 20 წუთით შესწყდა და აი პატივცემულ კარლო ჩხეიძეს წარუდგა ჩვენი დელეგაცია, რომელშაც ჰკითხა თუ სად და როდის შეიძლება მათთან მოლაპარაკება.

აი აქვე, ეხლავე შემიძლიან მოგვისმინოთ და მიიპატიჟა დელეგაცია პრეზიდიუმის ესტრადაზე, სადაც გარშემო შემოიხვია ჩვენი დელეგატები.—რას მეტყვით? ეკითხება სანდომიანი სახის პატრონი ბ. ჩხეიძე დელეგაციას—ჩვენ 28 კორპუსის ქართველმა მეომრებმა გამოგვგზავნეს საჭხედრო მინისტრთან სრულიად საქართველოს ქართველ მხედართა დელეგატთა ყრილობის ნებართვის ასაღებად, მაგრამ სანამ მას ვნახავდეთ, დავალებული გვაქვს წინასწარ თქვენი და მინისტრ წერეთლის ნახვა.—რა კითხვები გექნებათ დელეგატთა ყრილობაზე გასარჩევი? დელეგაცია დღის წესრიგს აცნობს და ხაზს უსვამს იმ მუხლს, რომელიც ეხება დამფუძნებელ კრების არჩევნებს.

— ირაკლი, შალვა, ევგენი! მოდით აქ, აი ჩვენ ქართველებს ჩვენთან საქმე აქვთ. უძახის ჩხეიძე ჩვენ თანამემამულეთ, რომელნიც იქვე ესტრადაზე იყვნენ და სხვა და სხვა პირებთან მუსაიფობდენ. მინისტრი ირაკლი წერეთელი, შალვა ელიავა და ევგენი გეგეჭკორი მიუახლოვდებიან ჩხეიძეს და დელეგაციას, რომელსაც მიესალმებიან და დასხდებიან მათთან ახლო..

— კაცო, შალვა! შენ უფრო კარგად იცნობ არჩევნების საკითხს აი ამათ უნდათ იცოდენ თუ როგორ უნდა მოეწყოს არჩევნები დამფუძნებელ კრებისა, რომ ქართველ მეომართა ხმები არ დაიკარგონ, ეკითხება ჩხეიძე ელიავას. ბატ. გეგეჭკორი ადარ აცლის შალვა ელიავას და ეკითხება ერთ დელეგატს:

— თქვენ პარტიის კაცი არა ხართ?

— გახლავართ.—ჰო და აიღეთ და თქვენი პარტიის კაცს მიეცით ხმა თქვენს არმიაში. .რა საჭიროა, რომ უსათუოდ ქართველი არ იყვეს თქვენ მიერ არჩეული? თუ კი მე რუსები მირჩევენ, აი ლორთქიფანიძეც რუსებისაგან არის არჩეული, რატომ ქართველებს არ შეუძლიანთ რუსების არჩევა?

— კი, მართალია დღეს ჩვენც გვირჩევენ არა ქართველნი ისევე როგორც ჩვენ ხშირად ვირჩევთ არა ქართველთ მაგრამ დამფუძნებელ კრებაში, სადაც ჩვენი ერის ბედი სწყდება, როგორ შემიძლიან მე პეტროვი ან ივანოვი ავირჩიო, როდესაც ვიცი ომი გათავდება და შეიძლება მთელს სიცოცხლეში ველარ შეგხვდე, რომ პასუხი მოვთხოვო როგორც არჩეულს, ან მან რა იცის ჩვენი ხალხის ტკივილები, მისი სულიერი ტრაედია? თუ არა და იქნებ მე ისეთ პარტიას ვეკუთვნი რომელიც რუსეთში არ არსებობს? ეუბნება ცოტა აღელვებული დელეგატი.

— როგორ თუ ისეთ პარტიას, რომელიც რუსეთში არ არსებობს? ეკითხება გაკვირვებული გეგეჭკორი.

— სულ უბრალოდ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართველი ერის შვილნი სულ სოც.-დემ. პარტიაში არ არიან მოთავსებულნი. არიან ს.-ფედერალისტები, რომლებიც თუ ცალთესავებიან რუსეთის ესერებს, მაგრამ ჩვენ რამდენადაც ვიცით საქართველოში მათი ერთმანეთში განწყობილება გამწვავებულია. ვფიქრობთ, რომ ადვილად შეიძლებელია ფედერალისტმა სოც.-რევოლუციონერს არ მისცეს ხმა თუ ძიელ არ გაუჭირდა გარდა ამისა წარმოიდგინეთ მე ნაც.-დემოკრატი ვარ, ვის მიეცე ჩემი ხმა? კადეტებს? ეს ხომ ყოვლად შეუძლებელია? უპასუხებს უფრო აღელვებული დელეგატი.

ამ ლაპარაკის დროს მეორე დელეგატი ჩხეიძეს და წერეთელს ცალკე წერილებს გადასცემს. აი მათი შინაარსი: დიდი რუსეთის რევოლუციის დედაბოძთა, კეთილშობილო ადამიანო ჩვენო თანამემამულე ბ-ნო კარლო! ნუ თუ განახლებულ თავისუფალ რუსეთში სამშობლო ჩვენი ნახევრად თავისუფალი უნდა შეივიდეს? ნუ თუ ეგოდენ დაღვრილი უმანკო სისხლი საქართველოს საუკეთესო შვილთა ვერ მიიღებს სრულ თავისუფლებას თავიანთ მოძმეთა და მოყვასთათვის? ნუ თუ თავისუფალი ედემის ბაღი არ უნდა შეექმნათ იქ, სადაც საფლავნი ჩვენი მამათა, ძმათა და შვილთა იქნებიან აყვავებულნი, რომ ყვავ ყორანთა ჩხავილის მაგიერ ბულბულთა სტვენა ისმოდეს იქ?

28 კორპუსში მყოფ ქართველ მხედართა სურვილია საქართველოს სრული თავისუფლება მისი ტერიტორიალური ავტონომიის სახით და აი გვინდა ყველა ქართველ სამხედრო პირთა აზრი ვიცოდეთ ამის შესახებ, რისთვისაც ვიწვევთ დელეგატთა ყრილობას. ხელი შეგვიწყვეთ და დაგვეხმარეთ სადაც საჭირო არის.

მინისტრ წერეთელს. რევოლუციის სულის ჩამდგმელო, საუკეთესო არწივო, ჩვენო თანამემამულე ბ-ნო ირაკლი! სამშობლო ჩვენი ვეღარ არწივობს. იქ, სადაც თქვენ გაიზარდენით ყვავ-ყორანთ გაუკეთებიათ ბუდენი. ჩვენ კი გვინდა, რომ იქ, სადაც თქვენ ბავშვობა გაატარეთ კვლავ თავისუფალ არწივთა ბუდეთა მხარეთ იყვეს, საიდანაც მრავალი არწივი გამოიჩეკებიან...

დღესვე გვინდა გავითვალისწინოთ რა ბედი მოელის ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს. გვინდა ვიცოდეთ რას ფიქრობენ მისი შვილნი სამხედრო პირნი რუსეთის ფრონტებზე გაფანტულნი და აი ამ მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ ქართველ სამხედრო პირთა წარმომადგენლების ყრილობა მოვიწვიოთ, რისთვისაც თქვენს დახმარებას ვთხოულობთ. გვინდა რომ მშიდრო ორგანიზაციები შეგკრათ, დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მოვემზადნოთ.

მათ საჩქაროთ გადიკითხეს და ბაასი ისევ არჩევნების შესახებ გაგრძელდა. ელიავა ლაპარაკობს საარჩევნო ოლქებად დაყოფაზე და ამომრჩეველთა რიცხვზე. დაღლილი და მისუსტებული ჩვენი თანამემამულე მინისტრი ირაკლი ყურადღებას აქცევს იმას თუ არმიაში იქნება ისეთი რიცხვი ქართველებისა, რომ საკუთარი დეპუტატი აირჩიონ?

— რასა ბრძანებთ, ბატონო, ეუბნება დელეგატი, არმიაში კი არა ზოგ ფრონტზეც არ იქნება იმოდენა ქართველი, რომ თავისი ხმებით აირჩიოს დეპუტატი. ამიტომ საჭირო ვიცოდეთ ერთ ოლქში მყოფ ამომრჩეველს შეუძლიან მეორე ოლქში მყოფ კანდიდატს მისცეს ხმა? აი ბევრი ამისთანა საკითხებია, რომელიც უნდა გამოირკვეს ქართ. სამხედრო პირთა დელეგატთა ყრილობაზე.

— ყოველი ნაციონალური ყრილობის წინაადმდეგი ვარ დღეს. თქვენ იცით? მე გეგეჭკორი ვარ. კავკასიის საერთო ჯარის დელეგატთა ყრილობაზე დავადგინეთ: არავითარ მაგნაირ ყრილობას ადგილი არა ქონდეს. ასე რომ ჩვენები არ მოვლენ. .—ვინც მოვა ალბათ ის გამოსთქვამს თავის აზრს ეუბნება დელეგატი.

— Да наконецъ я не разрѣшу въ Тифлисѣ собираться—ამბობს მრისხანე იუპიტერი.

— თუ ჩვენ სამშობლოში არ მოგვცემთ ნებას, მაშინ უკრაინაში შევიკრიბებით უპასუხებს დელეგატი. ბ-ნი გეგ—რი გაცხარებული გამოუთხოვრათ გაშორდება დელეგაციას.

ბ.ბ. ირაკლი წერეთელი და კარლო ჩხეიძე ჯერო გულდასმით მოეპყრენ დელეგაციის თხოვნას, ეტყობოდათ, რომ ამ კითხვებმა ისინი დააფიქრეს. ნახეთ საჭხედრო მინისტრი უთხრა ჩხეიძემ. ოცი წუთიც კარგა ხანია გავიდა და საბჭოს კრება ხელახლა იწყობოდა. დელეგაცია გამოეთხოვა ჩხეიძეს, წერეთელს და ელიავას. დაბრუნებულმა დელეგატებმა ყველა ეს მოახსენეს 28 კორპუსის დივიზიების შეერთებულ კომიტეტებს და ასისთაგებს. დამსწრენი მეტად აღელვა გეგეჭკორის ასეთმა გამოსვლამ და ბევრი მოითხოვდა მაგარი და მკცარი პასუხი გაეცეთო. იყვნენ პროტესტის გამოცხადების მომხრენიც, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნას დაადგა კრება, რომ პრესის საშუალებით ეუწყოს ყველა ეს ჩვენს საზოგადოებას, დეე მან გამოსთქვას თავისი აზრი თუ რამდენათ შეეფერება ეს სიტყვები ჩვენ თანამემამულეს.

ჩვენ ვართ უპარტიონი, მივდივართ ბელადებთან რჩევისათვის და ისინი კი (გეგ.ჭკორზეა ლაპარაკი) ასეთ მოუთმენლობას იჩენენ რაკი ჩვენ მთლად მათ აზრს და სურვილებს არ ვიზიარებთ. რათა ვწირავთ მთელი ხალხის ინტერესებს პარტიულ ვიწროობას? რატომ დამშვიდებულად ვერ შეგვიძლიან მოუსმინოთ თუნდაც მოწინააღმდეგის სიტყვა? თუ სოციალდემოკრატისთვის აკრძალულია თავის ხალხზე, როგორც ეროვნემაზე, ფიქრი დაზრუნვა რატომ უკრაინელ ცნობილ სოც.-დემ. **ვინიჩენკოს**, ან ფინლიანდიის სეიმის თავმჯდომარე **ტოკოის**, რომელთა ეხლანდელი მამულიშვილური მოქმედება უკრაინაში და ფინლიანდიაში თვით უკიდურეს ქართველ ნაციონალისტთა საოცნებო გამხდარა არ გამორიცხავს ბ. გეგეჭკორი სოც.-დემ. პარტიიდან? დრო და დღევანდელმა ისტორიულმა მომენტმა და საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხმა სხვანაირად გვალაპარაკოს, სხვა ნაირად გვფიქრებინოს და სხვა ნაირი ნაბიჯები გადაგვადგმევინოს და არა ისეთი როგორიც გაჯიუტებულ გეგეჭკორს აურჩევია. ასეთს გზას გაცალკევებისაკენ მივყევართ ჩვენ სამშობლოს ხსნას კი მისი შვილების შეერთებული გზა ეჩვენება თუ არ გვინდა, რომ ორასი წლობით სამშობლო ჩვენი კვლავ უპიროვნებო და უმნიშვნელო რამეთ არ იყოს მიგდებული.

ნუ შეგვეშინდება თავისუფალი აზრის. გაიგონოს ხალხმა თავისუფალი სიტყვა რათა მან შესძლოს, თითონ გაარკვიოს ავი და კარგი, რომ სწორე გზას დაადგეს. პარტიები განა იმიტომ ახდენენ რევოლუციას, რომ რომელიმე პარტია ზეცას აიყვანონ თუ ხალხის კეთილდღეობა ასწიონ? ჩვენა ვფიქრობთ რომ პარტიები უკანასკნელისთვის უნდა იბრძოდენ. მაშ უკუ აგდონ ჩვენმა პარტიებმა პარტიული „კაციჭამია შოვინისტობა“. იმათ ბევრი საერთო მიზანი აქვთ, რამოდენიმე გზა საერთო აქვთ გასავლელი და განვლონ ერთად. როცა კი გზები დაუპირდაპირდებიან ნუ დაიგიწყებენ ერთმანეთთან ბრძოლაში ხალხის ბელნიერებას, მის ნამდვილ სულის კეთებას. ფანატიკოსობა რეაქციონური და ადამიანის ყოველგვარ განვითარების შემაფერხებელი მოვლენაა.

28 **კორპუსის აღმას. კომიტეტი.**

P. S. ეს წერილი კორპუსის საერთო კრებამაც დაადასტურა.

აღ. კომ.

კორესპონდენცია

ჭიათურის საქალაქო არჩევნები

ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა წარსულ თიბათვეში დაადგინა გარდაწყვეტილება, რომლითაც დაბა ჭიათურას მიანიჭა ფართო ქალაქის თვითმართველობა და ასეთი გარდაწყვეტილების განხორციელება დავალებული აქვს ჭიათურის დროებით აღმასრულებელ კომიტეტს.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ჭიათურის აღმასრულებელი კომიტეტი ამ საქმის განხორციელებას დაუყოვნებლივ შეუდგება და ყოველ ღონეს იღონებს მის ჯეროვანად მოწყობისათვის. ამაში ჩვენ არავითარი ეჭვი არა გვაქვს. მხოლოდ სასურველი და მიუცილებელია, რომ ასეთ ფრიად საყურადღებო საქმეს თვით საზოგადოება ფნიზლად და ერთსულოვანად მიეგებოს და ყოველნაირად შეუწყოს მან ხელი მის სასურველად დაგვირგვინებას.

დაბა ჭიათურა არსებობს თითქმის ოცდაათი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში მას, ძველი რეჟიმის წყალობით, არავითარი უფლებები არ ჰქონია, ვინაიდგან აქამდის ეს დაბა ოფიციალურად არ ითვლებოდა არც ქალაქად, არც სოფლად და არც დაბად (თუმცა სრულიად თავის ნებით დაბად ყოფნა ეჭვეშ დებდით) და არც რომელიმე საზოგადოებაზედ იყო მიწერილი.

ეხლა, რაკი მიეცა მას კანონიერი იურიდიული უფლებები, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმის განხორციელებაში მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას ყველა არსებული პოლიტიკური პარტიები და ერთსულოვანად, წინასწარ ერთმანეთთან შეთანხმებით მოაწყობენ მონიჭებულ თვითმართველობას და ამ მართველობის სათავეში, მიუხედავად პირადი და პარტიული ინგარიშებისა, დაიყენებენ ღირსეულ და გულშემატკივარ ხმოსნებს და არა ისეთ პირებს, როგორც ეს სხვა და სხვა ქალაქებში ხდება, რომლებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ სახელისათვის და არა საქმისათვის ილტვიან მოხვდნენ ამა თუ იმ საზოგადო დაწესებულებაში.

მაშ ვუსურვებთ გამარჯვებას ჭიათურის თვითმართველობას და მასთან ერთად მათაც, ვინც ამ მართველობის წესიერად განხორციელებას წრფელის ვულით და სულით მოეკიდება და ხელს შეუწყობს.

პ. კობახიძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

ბაკურიანის ბილეთების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20 დღ.
„	„	№ 17,	8.27 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.

ფოთლიდან მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.33 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.13 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.03 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10 დილ.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვოთ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ხ ქართნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათრთულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია საავაჭრო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უგნებელის მადალი ღირსების მახალებისაგან, ნამდვილი და ხაუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

თევზის მრეწველნი

ძმ. კეგველიანები

ბუშაკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 112.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. ბ. ბ. ბ